პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

მეოთხე გამოცემის 38-ე წელი № 275 (11279) | პარასკევი, 28 ნოემბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ.

სესიამ მოისმინა დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ და დეპუტატ გ. ი. ქადაგიძის მოხსენება საქართველოს სსრ საავტომობილო გზების შემდგომი განვითარების, მათი მშენებლობის, შეკეთებისა და შენახვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. სესია განაგრძობს მუშაობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის სხდომის პრეზიდიუმი. ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი.

ფოტო ვ. გინზბურგის, ს. კვირიკაშვილისა და გ. ვახტანგაძისა.

★ ★ ★

გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

27 ნოემბერს გაიხსნა საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზი გაჭედილია ხალხით. აქ შეიკრიბნენ დეპუტატები — ხალხის არჩეულნი, მრავალი სტუმარი. დამსწრეთა შორის არიან სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მუშაკები, საკოლმეურნეო სოფლის წარჩინებული ადამიანები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

მორიგი სესია შეიკრიბა საყოველთაო სახალხო ლმავლობის ღირსშესანიშნავ დღეებში, რაც გამოწვეულია ისტორიული დოკუმენტებით, რომლებიც მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა. საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გამსჭვალული არიან მისწრაფებით და მზად არიან ღირსეულად განახორციელონ გაშლილი კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამა, რომელიც ჩამოყალიბებულია პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში.

დღის 12 საათია. პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილებს იკავებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ვ. დ. კუპრაძე**, მისი მოადგილეები **ლ. კ. ნაზაძე, ვ. დ. კოზაევი.**

ლოჟებში არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები. აქ არიან **ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, ი. ს. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, მ. მ. ფალავანდიშვილი, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, ნ. ა. შევარდნაძე,**

სესიის განსახილველად შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ ბუნების დაცვა;

2. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების შემდგომი განვითარება; მათი მშენებლობის, შეკეთებისა და შენახვის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ეს ორი საკითხი შეაქვთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

საკითხი შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესობა საბჭოს დავალებით დეპუტატ დ. ს. გონჯილაშვილს შეაქვს წინადადება დამტკიცდეს სესიის განსახილველად შემოტანილი საკითხები.

მოხსენება საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. დ. ჯავახიშვილმა. იგი ლაპარაკობს, რომ საქართველოს ბუნების დაცვის საკითხი, რომელიც შემოტანილია ამ სესიის განსახილველად, მჭიდროდ არის დაკავშირებული ღონისძიებებთან, რომლებიც დასახულია შვიდწლიანი გეგმით და გამომდინარეობს იმ გრანდიოზული ამოცანებიდან, რომლებიც დასმულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ინტენსიური განვითარება, ხაზგასმით აღნიშნავს მომხსენებელი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ერთად, რაც მჭიდროდ დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების გაზრდილ გამოყენებასთან, ჩვენს წინაშე აყენებს ბუნებრივი რესურსების სწორი გამოყენებისა და დაცვის საკითხს.

ამხ. გ. დ. ჯავახიშვილი დაწვრილებით ლაპარაკობს ბუნებრივი სიმდიდრის დაცვის, მისი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ყოველი ღონისძიებით გადიდების ამოცანებზე. ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის დაცვა, აღნიშნავს მომხსენებელი, და მისი სწორი გამოყენება წარმოადგენს იმ დიდი ამოცანების განხორციელების საწინდარს, რომლებიც დასახულია საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შვიდწლიანი გეგმით.

თანამოხსენება საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან არსებული სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ს. ვ. დურმიშიძემ.**

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ მოხსენების გამო დაიწყო კამათი. კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **დ. კ. ნატროშვილი** (ზემო ქედის საარჩევნო ოლქი, წითელწყაროს რაიონი), თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გ. ს. ვაშაკიძე,** დეპუტატი **მ. ს. არჯენია** (ბაბუშარის საარჩევნო ოლქი, გულრიფშის რაიონი), აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **რ. მ. კომახიძე,** ტყის ინსტიტუტის დირექტორი **ვ. ზ. გულისაშვილი,** დეპუტატი **დ. ხ. საბაშვილი** (ნასაკირალის საარჩევნო ოლქი, მახარაძის რაიონი), დეპუტატი **ა. მ. როგავა** (ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი, ზუგდიდის რაიონი), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსი **ი. ი. ჩოდრიშვილი.**

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის პირველი სხდომა. (საქდესი).

* * *

27 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სხდომა. გრძელდებოდა განხილვა მოხსენებისა საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. დ. ვიშნიაკოვმა,** დეპუტატმა **ა. ე. ბასიაშვილმა** (ქვემო ჭალის საარჩევნო ოლქი, კასპის რაიონი), დეპუტატმა **ი. ფ. სარიშვილმა** (აცანის საარჩევნო ოლქი, ლანჩხუთის რაიონი), საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ,** დეპუტატმა **ზ. ნ. ჩხუბიანიშვილმა** (ხაშის საარჩევნო ოლქი, მესტიის რაიონი).

უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საკითხის განხილვის შეწყვეტის შესახებ.

შესვენების შემდეგ სესია გადადის დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების შემდგომი განვითარების, მათი მშენებლობის, შეკეთებისა და შენახვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს **გ. ი. ქადაგიძეს.**

ამით მთავრდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სხდომა.

28 ნოემბერს საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

ფართო გზა — მოწინავეთა პატრიოტულ თაოსნობას!

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში

კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნისათვის რუსთავის, თბილისისა და ტყიბულის მუშათა პატრიოტული თაოსნობის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი კომუნისტური ბრიგადების შექმნისათვის რუსთავის, თბილისისა და ტყიბულის მუშათა პატრიოტული თაოსნობის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი აღფრთოვანებით განიხილავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს, ერთსულოვნად მიესალმებიან და იწონებენ ჩვენს ქვეყანაში გაშლილი კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ გეგმას, რომელსაც პარტია მომავალი შვიდწლედისათვის სახავს.

მიაჩნიათ რა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა თავიანთ სასიცოცხლო ღვიძლ საქმედ, საქართველოს მშრომელები ძვირფას შემოქმედებითს ინიციატივას იჩენენ საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისათვის მზადებაში.

მასების შემოქმედებითი აქტივობის ახალი აღმავლობის მკაფიო გამოვლინებაა რესპუბლიკის საწარმოებში, მოსკოვისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მაგალითისამებრ, კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნა. ასეთი ბრიგადები შექმნილია ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის № 2 ბრძმედზე (ბრიგადის ხელმძღვანელი — ღუმელის ოსტატი ამხ. **ძამაშვილი**), ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის ვ. ი. ლენინის სახელობის შახტში (ბრიგადირი ამხ. **კუბლაშვილი**), რუსთავის ცემენტის ქარხნის საფქვავ საამქროში (ბრიგადირი ამხ. **ჭიჭინაძე**), თბილისის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის ამწყობ საამქროში (ბრიგადირი ამხ. **ჩადუნელი**), თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ ამწყობ საამქროში (ბრიგადირი ამხ. **რუსია**).

ეს ბრიგადები აქტიურად ჩაებნენ მომავალი შვიდწლედის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო კომუნისტურ შეჯიბრებაში. ბრიგადების კომუნისტური ვალდებულებანი ასახავენ საბჭოთა ადამიანების ზრუნვას ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, შრომის ნაყოფიერების, ტექნიკური და კულტურული დონის ამაღლებისათვის, ყოველდღიურად ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მუშათა, კომუნისტების, კომკავშირელებისა და ახალგაზრდების ინიციატივა კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნისათვის.

საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პროფსაბჭოს, პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტებს და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს წინადადება მიეცათ ფართოდ განმარტონ და პოპულარიზაცია გაუწიონ მასებში კომუნისტური შრომის ბრიგადების მნიშვნელობას, უზრუნველყონ ყოველმხრივი მხარდაჭერა მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშაკთა ახალი პატრიოტული წამოწყებებისათვის, რომელთა მიზანია კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით შესრულება.

პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ კომუნისტური შრომის მოწინავეთა მოძრაობის განვითარებას, შეისწავლონ და გაავრცელონ კომუნისტური შრომის ბრიგადების მიღწევები, მხარი დაუჭირონ და პროპაგანდა გაუწიონ მათს შემოქმედებითს ინიციატივას.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტს დაავალა ფართო პოპულარიზაცია გაუწიონ მასების შემოქმედებითს წამოწყებებს, სისტემატურად გააშუქონ ბრიგადების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა, აჩვენონ მათი მუშაობის შედეგები და მიღწევები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენცია

27 ნოემბერს დღისით კრემლში გაიმართა პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის. პრეს-კონფერენციაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა პასუხი გასცა ჟურნალისტთა კითხვებზე ბერლინის საკითხის შესახებ სსრ კავშირის მთავრობის ნოტებთან დაკავშირებით. (საკდესი).

იუგოსლავიის ელჩმა ვიზიტი გაუკეთა ნ. ს. ხრუშჩოვს

26 ნოემბერს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ლ. მოისოვმა ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს. ნ. ს. ხრუშჩოვსა და ლ. მოისოვს შორის გაიმართა საუბარი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომი გაფართოებისა და საბჭოთა ვაჭრობის განვითარების საქმეში მათი როლის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით გააუქმა სსრ კავშირის ვაჭრობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით გააუქმა სსრ კავშირის პურის პროდუქტების სამინისტრო და შექმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პურის პროდუქტების სახელმწიფო კომიტეტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პურის პროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ კავშირის მინისტრად დაინიშნა ამხ. **ლ. რ. კორნიეცი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საქართველოს ბუნების დაცვის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია მიმდინარეობს იმ დღეებში, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხის, მომძლე სოციალისტური ქვეყნების მშრომელების, მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანის ყურადღება მიპყრობილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებისადმი, რომლებიც განიხილა და მოიწონა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა.

ამ სესიის განსახილველად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შემოტანილი საკითხი ბუნების დაცვის შესახებ მჭიდროდ არის დაკავშირებული შვიდწლიან გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან და გამომდინარეობს იმ გრანდიოზული ამოცანებიდან, რომლებიც დასახულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებით.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ინტენსიური განვითარება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდა, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ბუნებრივ სიმდიდრეთა მზარდ გამოყენებასთან, ჩვენს წინაშე აყენებენ ბუნებრივი რესურსების სწორად გამოყენებისა და დაცვის საკითხს.

ჩვენს ქვეყანაში ბუნების დაცვა გულისხმობს არსებულ ბუნებრივ სიმდიდრეთა არა პასიურ შენარჩუნებას, არამედ სახელმწიფოსა და მოსახლეობის მიერ ისეთ ღონისძიებათა სისტემის განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც ამ სიმდიდრეთა შენარჩუნებას, ისე მათ აღდგენა-გადიდებას და ექსპლოატაციის მოწესრიგებას.

ამ ძირითადი ამოცანის გარდა, ბუნების დაცვა ჩვენში მიზნად ისახავს მოსახლეობის კულტურულ და ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ბუნების დაცვა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს.

ბუნების დაცვის პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება ამჟამად დაკისრებული აქვთ ცალკეულ სახელმწიფო დაწესებულებებს. მაგრამ ბუნების დაცვის საქმეშაოების მდგომარეობა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ. საქმე ის არის, რომ ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაცია ინტენსიურად წარმოებს და ამასთან საკმაო ყურადღება არ ექცევა მათ აღდგენას. ამის შედეგად ამ სიმდიდრეთა ერთი ნაწილი გამოდის ბუნებრივი რესურსების შემადგენლობიდან.

ასეთმა მდგომარეობამ გამოიწვია იმის საჭიროება, რომ ბუნების დაცვის საკითხი დასმულიყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად.

საქართველოს ტერიტორია, მისი ნიადაგისა და მცენარეულობის საფარი, ცხოველთა სამყარო და ჰიდროგრაფიული ქსელი შეადგენს რესპუბლიკის ძირითად ბუნებრივ რესურსებს, რომლებიც განუყრელად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ერთ მთლიანობას წარმოადგენენ.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ინტენსიურ განვითარებასთან ერთად, სულ უფრო ფართოდ წარმოებს ბუნებრივ სიმდიდრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემა. ეს ექსპლოატაცია, განსაკუთრებით ისეთ მთიან ქვეყანაში, როგორიც ჩვენი რესპუბლიკაა, უნდა წარმოებდეს ზემოთ მოყვანილი ბუნებრივი რესურსების ურთიერთკავშირისა და დაცვის ფუნქციების დაურღვევლად.

რა მდგომარეობაშია და როგორ არის გამოყენებული რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების ცალკეული სახეობანი?

საქართველოს ბუნებრივი რესურსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია ტყეები. ჩვენი ტყეების მთელი ფართობის 96 პროცენტამდე მთის ტყეებია. მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობისათვის როგორც წყლის შენახვის, ნიადაგის დაცვისა და ჰაერის რეგულირების ფაქტორებს.

მთის ტყეები აწესრიგებენ წყლის რეჟიმს, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჰიდროელსადგურების და სარწყავი სისტემების ნორმალური მუშაობისათვის. ისინი მთის ფერდობებს იცავენ ნიადაგის ჩამორეცხვისაგან, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, დასახლებულ პუნქტებსა და ტრანსპორტის ნაგებობებს — თოვლის ზვავებისა, მეწყერისა და ნიაღვრებისაგან; აგრეთვე ისინი იცავენ სუბტროპიკულ და ძვირფას ტექნიკურ კულტურებს როგორც ქარებისაგან, ისე მთებიდან მონადენი ცივი ჰაერის მასებისაგან; ამრიგად ტყეები ხელს უწყობენ უხვი და მყარი მოსავლის მიღებას.

საბჭოთა კავშირში ცნობილი ჩვენი ბალნეოლოგიური და კლიმატური კურორტების საუკეთესო თვისებათა შექმნაში დიდ როლს ასრულებენ მათ გარშემო მდებარე ტყის მასივები, რომლებიც ქმნიან საუცხოო ლანდშაფტებს, აუმჯობესებენ მათ კლიმატურ პირობებს და ხელს უწყობენ მინერალური წყაროების ნორმალური დებიტის შენარჩუნებას.

საქართველოს სსრ ტყეების საერთო ფართობი შეადგენს 3 მილიონამდე ჰექტარს, რაც რესპუბლიკის მთელი ფართობის 37 პროცენტს უდრის. ჩვენს ტყეებში ხარობს 250-ზე მეტი მერქნიანი და ბუჩქნარი ჯიში. მათ შორის ბევრია ძვირფასი ჯიშები, რომელთა მერქანს ფართოდ იყენებენ მშენებლობაში, ხის დამამუშავებელ მრეწველობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. ტყეებში ცოტა როდია გარეული ხეხილის ჯიშებიც, რომლებიც იძლევიან ნედლეულს კვების მრეწველობისათვის. ჩვენი ტყეები აგრეთვე მდიდარია ძვირფასი ენდემური და რელიქტური მერქნის ჯიშებით, რომლებსაც განსაკუთრებული სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ მცენარეული სამყაროს შესასწავლად.

რევოლუციამდელ პერიოდში ტყისადმი უყაირათო დამოკიდებულების, უსისტემო ჭრის შედეგად ტყე მოისპო დიდ ფართობებზე.

ტყეების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და მისი სწორი ექსპლოატაციის საქმეს ყურადღება ექცევა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში. დიდმა ლენინმა 1918 წლის მაისში ხელი მოაწერა დეკრეტს ტყეების შესახებ, რომელიც ავალებდა საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ეზრუნათ ტყეების დაცვის, მათი განახლებისა და ტყის ფართობების გადიდებისათვის.

ტყეების მოვლისა და დაცვის საქმე ჩვენს ქვეყანაში სახალხო საქმედ არის მიჩნეული და ავალებს თითოეულ მოქალაქეს თვალის ჩინივით გაუფრთხილდეს ტყეებს.

საკავშირო მთავრობა ყოველწლიურად დიდძალ ასიგნებებს გამოჰყოფს არსებული ტყეების დასაცავად და ახალი ტყის ნარგავების შესაქმნელად. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში გაშენებულია 13 ათას ჰექტარზე მეტი ტყის ახალი ნარგავები, საგრძნობი მუშაობაა გაწეული ტყის ბუნებრივი განახლებისათვის ხელისშეწყობის საქმეში, რის შედეგადაც აღდგენილია 96 ათასამდე ჰექტარი ტყე.

ქალაქების, დასახლებული პუნქტების, ქარხნების, ფაბრიკების, სკოლების, საავადმყოფოების ტერიტორიების, აგრეთვე გზატკეცილების გამწვანების საქმეში დიდი მუშაობა გასწია საქართველოს ნებაყოფლობითმა საზოგადოებამ „ტყის მეგობარმა“. 10 წელიწადში საზოგადოების წევრებმა დარგეს 50 მილიონზე მეტი ხე და ბუჩქი, მათ შორის 40 პროცენტამდე ხეხილი.

მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი — ფართოდ უნდა გაიშალოს მუშაობა გამეჩხერებული ნარგავების აღდგენისა და გაშიშვლებული ფერდობების გატყიანებისათვის.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს — სახელდობრ დარგული კულტურების გახარებასა და შენარჩუნებას. გაშენებული ტყის კულტურების საშუალო გახარება რესპუბლიკაში შეადგენს 70 პროცენტს. საჭიროა ტყის კულტურების გაშენება ვაწარმოოთ უპირველეს ყოვლისა უტყეო და მცირეტყიან რაიონებში, აგრეთვე ჭრაგავლილ ფართობებზე; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დარგული ტყის კულტურების გახარების პროცენტის გადიდებას, რისთვისაც მტკიცედ და გულმოდგინედ უნდა იქნეს დაცული დადგენილი ნიადაგის დამუშავების, კულტურების გაშენებისა და მათი მოვლის აგროტექნიკური წესები.

წარსულში მრეწველობის საჭიროებისათვის ნაძვნარ, სოჭნარ და წიფლნარ ტყეებში არასწორმა ჭრამ გამოიწვია ტყეების ძლიერი გამეჩხერება. ამის შედეგად ასეთ ტყეებში ფართობები დაიფარა სარეველა მცენარეულობით, აგრეთვე მარადმწვანე ხშირი ბუჩქნარებით, რომლებიც ხელს უშლიან ხის ჯიშების გაახლებას. მეცნიერულ გამოკვლევათა მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ამ ფართობებზე გამოვლინებულია მეტად უარყოფითი მოვლენები, ფართობები კარგავენ განახლების უნარს, აგრეთვე წყლის შენახვისა და ნიადაგის დაცვის ფუნქციებს, ხელს უწყობენ წყალდიდობას გაზაფხულზე, ჩვენი მდინარეების წყლის დონის მკვეთრად დაცემას ზაფხულში, ნაკადულებისა და წყაროების დაშრობას, განსაკუთრებით გვალვიან წლებში. ასეთი მეჩხერი ტყეების ფართობი საქართველოში 300-400 ათას ჰექტარს აღწევს.

ტყის აღდგენა გამეჩხერებულ და მარადმწვანე ბუჩქნარების ქვეტყიან ფართობებზე წარმოადგენს გადაუდებელ ამოცანას და ამ მიმართულებით უნდა გაშალოს თავისი მუშაობა სატყეო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენი ხე-ტყის დამამზადებლებიც ძალიან ცოტას უწევენ ანგარიშს ტყის დაცვითი ფუნქციების შენარჩუნებას მისი ექსპლოატაციის დროს.

ტყეებში მერქნის გამოზიდვასა და გამოთრევაზე მუშაობენ მძიმე ტრაქტორები, რომლებიც ბევრ ადგილას ქმნიან ნიადაგის ეროზიის კერებს, მიწის ბორცვებს, ღრმა კვლებს; ისპობა ახალგაზრდა ხეები, მექანიკურად ზიანდება ძირზე დარჩენილი ხეები, ყოველთვის როდი წარმოებს ტყესაკაფების გაწმენდა და დამზადებული ხე-ტყის მასალის გაქერქვა, რაც იწვევს ქერქიჭამიის კერების შექმნას.

ხე-ტყის დამზადება ძირითადად წარმოებს იქ, სადაც არის ათვისებული გზები, ამიტომ ჭრაც წარმოებს ერთსა და იმავე ტყის მასივებში განმეორებით, რაც იწვევს ამ მასივების გაჩანაგებას და წყლის შენახვის და დაცვის ფუნქციების დარღვევას.

ტყის საზიდი გზების უქონლობის გამო აუთვისებელი რჩება ტყის მდიდარი მასივები მდინარე რიონის, ცხენისწყლის, კოდორის, ბზიბისა და სხვა აუზებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით წყალშენახვითი და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობის ტყეებში ტყით სარგებლობა განსაზღვრულია და არ უნდა აღემატებოდეს წლიურ ნამატს, ე. ი. უნდა მოიჭრას მხოლოდ იმდენი, რამდენიც ემატება ყოველწლიურად, ისე რომ ხელი არ ვაჭლოთ ტყის ძირითად მარაგს. ამავე დროს, ზოგიერთ რაიონში (ბორჯომი, ადიგენი) ეს წესი ირღვევა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა, ბაკურიანისა და ბორჯომის სატყეო მეურნეობებში გადამეტებული ჭრით გამეჩხერებული და გაჩანაგებული ტყეების აღდგენის მიზნით, შეწყდეს 1959 წლის 1 იანვრიდან ტყის ძირზე გაცემა ყველა ხე-ტყის დამამზადებლისათვის, ხე-ტყის გაცემა მოხდეს მხოლოდ ადგილობრივი საჭიროებისათვის და ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ანალოგიური გადაწყვეტილება მიღებულია რიწის ტბის გარშემო მდებარე ტყეების მიმართ. აქ 1960 წლიდან შეწყდება ხე-ტყის გაცემა.

უახლოეს დროში განხილულ იქნება საკითხი, რომ შემცირდეს 1959 წლის 1 იანვრიდან ტყის ჭრა საანგარიშო ტყესაკაფით გათვალისწინებულ მოცულობამდე ადიგენის და ახალციხის სატყეო მეურნეობებში.

ტყის დაცვის საქმეში მიუხედავად ერთგვარი გაუმჯობესებისა, ჯერ კიდევ არის მთელი რიგი დარღვევები როგორც ორგანიზაციების, ისე ცალკეული პირების მხრივ. სატყეო მეურნეობის მუშაკები კი ხშირ შემთხვევაში შემარიგებლობას იჩენენ ტყის უნებართვოდ გამჩეხ პირთა მიმართ და არ იღებენ მათ წინააღმდეგ კანონით დადგენილ ღონისძიებებს.

განსაკუთრებით ცუდად არის საკოლმეურნეო ტყეების დაცვის საქმე. საკოლმეურნეო ტყეებს, რომლებიც ძირითადად დასახლებული პუნქტების, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ფართობების მახლობლად, მთის ფერდობებზე, ხევების გასწვრივ და მდინარეთა ჭალებში მდებარეობენ, დიდი ნიადაგდაცვითი და წყალშენახვითი მნიშვნელობა აქვთ, იცავენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ქარისა და ნიაღვრების ნაკადისაგან. ხელს უწყობენ მყარი მოსავლის მიღებას.

სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს კოლმეურნეობებს სატყეო სამეურნეო სამუშაოთა სწორი ორგანიზაციის საქმეში. სახელმწიფოს ხარჯით ხორციელდება ტყის გაშენებისა და ტყის მავნებლებისაგან დაცვის ღონისძიებანი.

ზოგიერთი კოლმეურნეობა უნარიანად აწარმოებს ტყეების მოვლას და მათ ექსპლოატაციას და განუწყვეტლივ აუმჯობესებს ტყის მასივების მდგომარეობას. მაგალითად, მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა უკანასკნელ წლებში გააშენეს 130 ჰექტარი მინდორსაცავი ზოლი, ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა — 229 ჰექტარი, ხოლო ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა — 214 ჰექტარი. ამასთან არიან ისეთი კოლმეურნეობებიც, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან ტყეებს, ეწევიან უსისტემო ჭრას, რაც ამცირებს ტყეების სამეურნეო, აგრეთვე დაცვითს როლს. კოლმეურნეობათა უმრავლესობა ჰყიდის დამზადებულ მერქანს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც კი, ხოლო ძირზე გაცემულ მერქანში აღებულ სახსრებს, იმის ნაცვლად, რომ ჩარიცხოს იგი თავის განუყოფელ ფონდში და გამოიყენოს სატყეო სამეურნეო ღონისძიებებისათვის, ანაწილებს შრომადღეებზე ან იყენებს სხვა საჭიროებისათვის.

სატყეო მეურნეობის წარმოების წესებს არღვევენ აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკების ზოგიერთი რაიონების, აგრეთვე ახმეტის, თელავის, გურჯაანის, დმანისის, ჭიათურის, ვანის, ამბროლაურის, ხობის და სხვა რაიონების კოლმეურნეობები.

გაგრის რაიონის სოფელ წალკოტის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. დომბალიანი) ციცაბო ფერდობებზე, ტყესაკაფის სათანადო წინასწარ გამოუყოფლად, მოჭრა 410 ძირი მუხა. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ბობუა) უნებართვოდ მოჭრა 170 ძირი მუხა, დაამზადა ახალგაზრდა რცხილის მერქანი წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისათვის და სხვადასხვა ორგანიზაციებს მიჰყიდა 500 კუბურ მეტრზე მეტი შეშა. ხულოს რაიონის სოფელ ბაკოს კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. დუმბაძე) მტაცებლური ჭრის წესით დაამზადა და სხვადასხვა ორგანიზაციებს მიჰყიდა 500 კუბური მეტრი სამასალე წიწვიანი ხე-ტყე, ხოლო იმავე რაიონის სოფელ მახალაჯიძეების კოლმეურნეობამ ციცაბო ფერდობებზე სრულიად უსისტემოდ მოჭრა 494 ნაძვი და სოჭი.

უხეში დარღვევები დაუშვეს შუახევის რაიონის სოფელ ოლადაურის კოლმეურნეობამ, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის ჯალინინის სახელობის კოლმეურნეობამ, ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ და სხვებმა.

უსისტემო ჭრის შედეგად გაჩანაგდა წითელწყაროს, მცხეთის, სტალინირის, ორჯონიკიძის რაიონების საკოლმეურნეო ტყეები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განახორციელა საკოლმეურნეო ტყეებში მეურნეობის წარმოების მოწესრიგების მთელი რიგი ღონისძიებანი. ამავე დროს ურჩია კოლმეურნეობებს, რომლებსაც ტყის დიდი ფართობები აქვთ, გადასცენ მათი ნაწილი სახელმწიფო სატყეო ფონდში. ეს ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ ტყეების სწრაფ აღდგენას და მათ სათანადო მოვლას.

რესპუბლიკის 24 რაიონის 375 კოლმეურნეობამ უკვე გადასცა სახელმწიფო სატყეო ფონდში 161 ათასამდე ჰექტარი ტყის ფართობი. კოლმეურნეობათა გამგებლობაში ჯერ კიდევ რჩება დიდძალი ტყეები — დაახლოებით 819 ათასი ჰექტარი.

ნიადაგდაცვითი და წყალშენახვითი მნიშვნელობის ტყეების, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგებლობაში არსებული ტყის ძვირფასი მასივების აღდგენისა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ რაისაბჭოს აღმასკომებმა თითოეულ კოლმეურნეობაში შეისწავლონ ტყის მასივების ფართობები და კოლმეურნეობებს ურჩიონ ზედმეტი ტყის მასივები გადასცენ სახელმწიფო ფონდში.

საჭიროა ფართოდ გაიშალოს ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში, მოეწყოს მასობრივი მოძრაობა საკოლმეურნეო ტყეების არა მარტო შენარჩუნებისათვის, არამედ აგრეთვე მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და აღდგენისათვის.

საჭიროა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის წიწვიანი ჯიშის ტყეებს ძალზე დიდ ზიანს აყენებს საახალწლო ნაძვისხის დამზადების პრაქტიკა. საქართველოში ყოველწლიურად მზადდება 60 ათასამდე ახალგაზრდა ნაძვი და ამას გარდა არის ნაძვისხის უნებართვო დამზადების მრავალი ფაქტი.

აღნიშნული საკითხი განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საახალწლო ნაძვისხის ჭრის შეზღუდვის, ხოლო მომავალში მთლიანად შეწყვეტის, აგრეთვე ხელოვნური საახალწლო ნაძვისხის გამოშვების შესახებ მიიღო სათანადო დადგენილება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მომავალი წლიდან სრულიად აიკრძალოს ნაძვისხის მოჭრა. ხელოვნური საახალწლო ნაძვისხის გამოშვება დავალებული აქვს საქართველოს სარეწაო კოოპერაციას.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენს რესპუბლიკაში, რომელიც ძირითადად მთაგორიანია, ნიადაგის დაცვას. ამავე დროს ამ საქმისადმი უდარდელი დამოკიდებულების გამო ნიადაგის ნაყოფიერება მცირდება, ხოლო ნიადაგის საფარის ერთი ნაწილი ისპობა წყლისა და ქარის ეროზიის შედეგად.

საჭიროა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაოს მთიანი მიწათმოქმედების სისტემა, ერთმანეთს შეუფარდოს მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურების ფართობები, დანერგოს ეროზიის საწინააღმდეგო ზოლების სისტემა და განახორციელოს ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა აგროტექნიკური ღონისძიებანი.

მთიდან წყლის დინების და ეროზიის მოვლენების დამანგრეველი მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში უხსოვარი დროიდან წარმოებს. ვამოქვაბული ქალაქის — ვარძიის დაცვა ნიაღვრისაგან XII საუკუნეში წარმოებდა წყალშემკრები და წყალსაწრეტი არხებით, იმავე რაიონში ტერასებზე განლაგებული ბაღები და სოფლები ალაგ-ალაგ ახლაც წესიერ მდგომარეობაშია.

საქართველოში ცოტა როდია ისეთი ადგილები, სადაც მთისწინა ნაწილებში მდებარე სოფლებს მთის მხრიდან ახლავთ ტყე, რომელსაც „საფარი“ ეწოდება. თვით ადგილობრივი მოსახლეობა კრძალავს ყოველგვარ ჭრას ამ ტყეებში, ვინაიდან ტყე მიაჩნია ერთადერთ საიმედო საცავად ჩამონგრევისა, მეწყერისა და წყლის დინებისაგან.

ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი სახეობაა ნიაღვრები, რომლებიც სისტემატურად დიდ ზარალს აყენებენ სახალხო მეურნეობას.

წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრომ უკანასკნელ 8 წელიწადში ნიაღვრებისა და წყალდიდობის შედეგების სალიკვიდაციოდ დახარჯეს 120 მილიონ მანეთზე მეტი.

ფართოდ უნდა გაიშალოს ბრძოლა წყლის ეროზიის წინააღმდეგ. იგი შეიძლება წარმატებით დამთავრდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვეგმიანად მოეწყობა სამთო-სამელიორაციო სამუშაოები აგრომელიორაციულ ღონისძიებებთან მჭიდრო კავშირით სასოფლო-სამეურნეო სარგებლობის მიწებზე. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა შეიმუშაონ წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება გათვალისწინებული იქნება მომავალ შვიდწლედში.

ქარისა და გვალვის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი ენიშვნელობა აქვს ქარსაცავ ზოლებს. მეცნიერებამ და პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ თუ ტყის ზოლები გვაქვს გვალვიან რაიონებსა და იმ რაიონებში, სადაც ქარები იცის, შეიძლება მივიღოთ უხვი და მყარი მოსავალი.

რუსეთის ფედერაციის პირობებში, სადაც ქარსაცავი ზოლები შექმნილია ასიათასობით ჰექტარ ფართობზე, ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა გადიდდა 30-40 პროცენტით. დაახლოებით ამდენადვე გადიდდა ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების მოსავლიანობა საქართველოს დასავლეთ რაიონებში, სადაც კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ქარსაცავი ზოლები შექმნეს.

ქარებისაგან სოფლის მეურნეობის კულტურების დაცვის საქმეში მინდორსაცავი ტყის ზოლების დადებითი მოქმედება აშკარაა. მინდორსაცავი ტყის ზოლებიარა მარტო ასუსტებენ ქარის ძალას, არამედ ზაფხულობით ამცირებენ აორთქლებას, რითაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიან მცენარეთა ნორმალური ზრდისათვის.

მიუხედავად ამისა, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები და კოლმეურნეობები, განსაკუთრებით რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონებში, შეუფასებლობას იჩენენ მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნის საქმეში. საჭიროა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება პირველად დაიწყეს 1954 წლიდან სამგორის, საგარეჯოს, კასპის და სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა, ხოლო დასავლეთ საქართველოში მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში იყო დაწყებული, მაგრამ ამ სამუშაოთა უყურადღებობის და ზოლების მოუვლელობის შედეგად გაშენებული ზოლების უმეტესობა დაიღუპა.

1958 წლის 1 იანვრისათვის დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებში გაშენებული 3.054 ჰექტარი ქარსაცავი ზოლებიდან შენარჩუნებულია მხოლოდ 1.330 ჰექტარი.

ქარსაცავი ზოლების გაშენების კარგი ტრადიციები აქვთ საბჭოთა მეურნეობებს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. მათი პლანტაციები უზრუნველყოფილია ქარსაცავი ზოლებით, რომლებიც ხელს უწყობენ მოსავლიანობის გადიდებას.

როგორც უკვე აღვნიშნე, აღმოსავლეთ საქართველოში მავნე ქარები და გვალვა საგრძნობ ზიანს აყენებენ ჩვენს სოფლის მეურნეობას.

ამ მავნე მოვლენათა თავიდან აცილების მიზნით შემუშავებულია და დასამტკიცებლად არის წარდგენილი ქარსაცავი ზოლების გაშენების გეგმა.

ამ გეგმით ნავარაუდევია გაშენდეს მოკლე ხანში საკოლმეურნეო მინდვრებზე 10.700 ჰექტარი საერთო ფართობის სარაიონო და საკოლმეურნეო ქარსაცავი ზოლები.

გარდა ამისა დასავლეთ საქართველოს რაიონებში აღდგენილ იქნება სახელმწიფო ტყის ზოლები დაახლოებით 2.000 ჰექტარ ფართობზე.

ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი ღონისძიებაა, რომელიც ძირფესვიანად შეცვლის და გააუმჯობესებს ჰავას და შექმნის საუკეთესო პირობებს უხვი და მყარი მოსავლის მიღებისათვის.

ეს საქმე უნდა გადაიქცეს სატყეო მეურნეობის და აგდგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაუდებელ ყოველდღიურად საზრუნავ ამოცანად.

საჭირო იქნება აგრეთვე სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოსთან ერთად შეიმუშაოს აღმოსავლეთ საქართველოს საბჭოთა მეურნეობებში ქარსაცავი ზოლების გაშენების გეგმა და უმოკლეს ვადაში განახორციელოს იგი.

ბუნების გარდაქმნის ამ კეთილშობილური ამოცანების შესასრულებლად ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს მოეპოვებათ ყველა პირობა, საჭიროა მხოლოდ რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელების, კოლმეურნეობათა გამგეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების ინიციატივა.

ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოების წინაშე დასახულია დიდი ამოცანები — დარაზმონ მთელი საზოგადოებრიობა — მუშები, კოლმეურნეები, მოსწავლეები, რათა უსწრაფესად შექმნან მინდორსაცავი ზოლები თითოეული რაიონისათვის დაწესებული მოცულობით, ხოლო სატყეო მეურნეობის მუშაკთა ამოცანაა — სისტემატური ტექნიკური დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა რაიონმა ცოტა მუშაობა როდი გასწია კოლმეურნეობებში ქარსაცავი ზოლების შესაქმნელად და დასახა მომავლისათვის მინდორსაცავი ტყის გაშენების გეგმები. ამ მხრივ ყურადღების ღირსია ინიციატივა მახარაძის რაიონისა, რომელმაც პარტიის რაიკომის პლენუმზე განიხილა კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწებზე 3.300 ჰექტარი ტყის დარგვის და 300 ჰექტარი მინდორსაცავი ზოლების გაშენების შვიდწლიანი გეგმა.

ამჟამად სიღნაღის, კაჭრეთის და სამგორის რაიონებში შემუშავებულია პერსპექტიული გეგმები და უახლოეს დროში იქნება განხილული და დამტკიცებული რაისაბჭოების სესიებზე.

ქარსაცავი და მინდორსაცავი ზოლების გაშენების, აგრეთვე ტყის ახალ ნარგაობათა და ბუნების სიმდიდრეთა დაცვის საქმეში კარგი თაოსნობა გამოიჩინეს წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა, მექანიზატორებმა, მუშამოსამსახურეებმა, სოფლისა სატყეო მეურნეობის სპეციალისტებმა. მათ იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი ტყის გაშენების, ქარსაცავი ზ მინდორსაცავი ტყის ზოლები გაშენებისა და არსებული ტყ მასივების დაცვის გაძლიერებ საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ც ტრალურმა კომიტეტმა და საქ რთველოს სსრ მინისტრთა საბ ჭომ მოიწონეს წითელწყაროს რაიონის მშრომელთა ინიციატი და დაავალეს საქართველოს კ პარტიის საოლქო, საქალაქო რაიონულ კომიტეტებს, აფხაზ თის ასსრ და აჭარის ასსრ მინ ტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოს თის ავტონომიური ოლქის საო ქო აღმასკომს და რაიაღმასკ მებს გააცნონ წითელწყაროელ მიმართული კოლმეურნეებს, საბ თა მეურნეობებისა და სარემ ტო-ტექნიკური სადგურების მ შებსა და მოსამსახურეებს, სო ლის მეურნეობის და სატყეო ურნეობის სპეციალისტებს, მ წავლეებს და რაიონის ყვ მშრომელს.

წითელწყაროელთა თაოსნ ბას დროულად გამოეხმაურნ რუსთავის მშრომელები, რომ ბმაც თავიანთი ქალაქის გამწ ნების საქმეში იკისრეს დ ვალდებულებანი და გამოიწვ ქუთაისის მშრომელები.

საჭიროა ამ კეთილშობილ მოძრაობას გამოეხმაურონ და ქმიანად დაუჭირონ მხარი ყ ჩვენი ქალაქისა და რაიო მშრომელებმა.

ამ საზოგადოებრივ მოძრაობ სათავეში უნდა ჩაუდგნენ მშ მელთა დეპუტატების საქალ და რაიონული საბჭოები. უ მივაღწიოთ იმას, რომ უმოკლ ვადაში შეიქმნას საზოგადოებ ვი აზრი ტყეების მოვლის, მ ფართობების გადიდების და ნების სიმდიდრეთა რესურს დაცვის უზრუნველყოფის გ შემო.

საქართველოს მცენარეულ და ფაუნა მეტად მდიდარია ვისი სახეობრივი შემადგენ ით. ჩვენში ბევრია ფაუნისა ფლორის კულტურული და მ ნეერული თვალსაზრისით მეტ ძვირფასი და მნიშვნელოვანი რმომადგენლები, რომლებიც თუ უნდა დავიცვათ, არამედ მ ნეერულად შევისწავლოთ და შესწავლის შედეგები გამოვ ნოთ ჩვენი სახალხო მეურნეო სასარგებლოდ. ფლორისა და ფ ნის დაცვისა და შესწავლისა ვის საქმეა მთელი რიგი ად ლების ნაკრძალებად გამოცხ ბა.

1920 წელს სპეციალურად მ მოცემულ დეკრეტში, რომელ ხელს აწერს ვ. ი. ლენინი, ნათ მია, რომ ნაკრძალი წარმოადგ ეროვნულ კუთვნილებას, რ ლის დანიშნულებაა მხოლოდ ც ნიერული და მეცნიერულ-ტ ნიკური საკითხების გადაწყვ და რომლის ბუნებრივი რეს სების ექსპლოატაცია შეუწყ რებელია.

ფლორისა და ფაუნის ჩ ქვეყნისათვის დამახასიათებ და სამეურნეო ან მეცნიერ თვალსაზრისით ძვირფასი ფ მომადგენლების დაცვის, აღდ ნის, გამრავლებისა და გავრ ლების მიზნით, საქართველ 1951 წლამდე მოწყობილი 22 ნაკრძალი. ნაკრძალების რ ხვის მხრივ საქართველოს პირ ლი ადგილი ეკავა რუსეთის რესპუბლიკის შემდეგ. აღნიშ ლი ნაკრძალები, გარდა ლ დეხისა, სრულიად დაუსაბუთ ლად ლიკვიდირებული იყო 19 წელს.

ნაკრძალების ლიკვიდაციის მდეგ მათი მდგომარეობა შეს ნევად გაუარესდა: შეწყდა ტ ძვირფას და ენდემურ ჯიშ მეცნიერულ-კვლევითი და დგენითი მუშაობა. თითქმის ს სებით მიტოვებულ იქ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საქართველოს ბუნების დაცვის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ გ. ღ. ჯაფახიშვილის მოხსენება

(დასასრული).

ფაუნის, აჯამეთის — იმერეთ-მუხის ტყის, საგურამოს — ...ორისა და ფაუნის, ბაწარის— ...ხოვარის, ვაშლოვანის — ნა-...ლი ტყის და სათაფლიას გამო-...ბული.

...ამით არ ამოიწურება ჩვენი ბუ-...ის ყველა იმ შესანიშნავი ობი-...ტის რაოდენობა, რომლებიც ...ოცხადებული უნდა იყოს ნაკ-...ლად. სათანადო ორგანიზაცი-...ა უნდა მოამზადონ წინადადე-...ნი ნაკრძალების დამატებით გა-...ყოფის შესახებ.

...ნაკრძალების მუშაკთა ამოცა-... გააცნონ მშრომელებს ჩვენი ...ნების სანიმუშო ობიექტები, ...არმოონ მათი მეცნიერული შე-...ავლა, რომ მიღებული შედეგე-... გამოყენებულ იქნას სახალხო ...ურნეობის სათანადო დარგების ...ნეთარებისათვის.

...ამ მიზნით ნაკრძალებში უნდა ...ნხორციელდეს მთელი რიგი ...ონისძიებები, სახელდობრ — გა-...თდეს გზები, ბილიკები, აშენ-...ს ღამის გასათევი ბინები, მოე-...ოს ბუნების ამსახველი მუზეუ-...ბი და სხვა. ამ სახით ჯერჯერო-...ით მოწყობილი გვაქვს მხოლოდ ...აგოდეხის სახელმწიფო ნაკრძა-...ი, სადაც მუშაობა მიმდინა-...ეობს.

...ნაკრძალთა მდგომარეობის გა-...უმჯობესებლად მიღებულია ...ელი რიგი ღონისძიებანი. მაგა-...თად, რიწის ნაკრძალში 1960 ...ლის 1 იანვრიდან შეწყდება ...ყის ექსპლოატაცია; აჯამეთის ...კრძალში დაწყებულია ბრძოლა ...უხის დიდი ხარაბუზას მოსასპო-...დ.

...მეცხოველეობის შემდგომი გა-...ითარების პროგრამა, რომელიც ...ასახულია პარტიისა და მთავ-...ობის მიერ, ამოცანა — უახ-...ოეს წლებში დავეწიოთ ამერი-...ის შეერთებულ შტატებს ერთ ...ულ მოსახლეზე ხორცის, რძისა ...ა კარაქის წარმოების მხრივ — ...არმატებით ვერ განხორციელ-...ება, თუ არ შეიქმნა მძლავრი ...აკვები ბაზა, თუ არ მივიღეთ ...ხვადასხვა საკვები კულტურის ...ყარი და უხვი მოსავალი.

...ამასთან დაკავშირებით განსა-...ზღვრებით დიდი საწარმოო მნიშ-...ნელობა ეძლევა რესპუბლიკის ...ურნებრივ სათიბებსა და საძოვ-...ებს.

...ბუნებრივი საკვების საგარგუ-...ლების პასპორტიზაციის მასალე-...ის ანალიზი მოწმობს სასაძოვრო-...ამდელოე მეურნეობის გამოყე-...ნების შეუწყნარებელ დაბალ ორ-...ანიზაციასა და აგროტექნიკურ ...ონეს. სათიბების და საძოვრების ...ექსპლოატაცია მეტად არარაციო-...ალურად მიმდინარეობს. მათი ...აკალეული მასივები შეუწყნარებ-...ად გადატვირთულია სასოფლო-...სამეურნეო ცხოველთა სულადო-...ით, ზოგიერთი კი, პირიქით, და-...ტვირთავია. არც ერთ რაიონში ...არ ხორციელდება სათიბების, სა-...ძოვრების და ბუნებრივი საგარ-...გულების გაუმჯობესების ღონის-...ძიებანი. ამის შედეგად ისინი არა-...დამაკმაყოფილებელ მდგომარეო-...ბაშია.

...საჭიროა მოწესრიგდეს რო-...გორც საზაფხულო, ისე საზამთრო ...საძოვრების სარგებლობა, რეგუ-...ლირებულ იქნეს პირუტყვის რა-...ოდენობა, დაწესდეს საძოვარ-...ბრუნვა და მოეწყოს ბრძოლა სა-...ოველა მკინარეულობის წინააღ-...მდეგ.

...სოფლის მეურნეობის მეცნიე-...რებათა აკადემიამ და სოფლის მე-...ურნეობის სამინისტრომ ყოველ-...მხრივ უნდა შეისწავლონ სასა-...ძოვრო მეურნეობის საკითხები ...და დასახონ ღონისძიებანი მისი ...მდგომარეობის გასაუმჯობესებ-...ლად.

...საქართველო მდიდარია თა-...ვის მრავალსახეობათა ფაუ-...ით. კავკასიური ირემი, ჯიხვი, ...არჩვი, შველი, ნიამორი, ჯეირანი, ...გარეული ღორი, კურდღელი, ხო-...ობი, დურაჯი, გნოლი, კაკაბი, ...ფურთხი, როჭო და სხვა უხვად ...მოიპოვებოდა საქართველოს ტყე-...ებსა და მინდორ-ველებში.

...მაგრამ მდინარეების ჭალებში ...ტყეების განადგურების შედეგად ...თითქმის მთლიანად მოისპო ხო-...ობი, რომელიც მრავლად იყო ...მტკვრის, ალაზნის, ივრის ჭალებ-...ში, აგრეთვე კოლხეთის დაბ-...ლობში.

...სრულიად განადგურდა საქარ-...თველოში ჯეირანი და თითქმის ...განადგურებამდე მივიდა დურა-...ჯის, გნოლის, გარეული ღორის ...და კურდღლის მარაგი.

...საქართველოში სანადირო ფაუ-...ნის ასეთი დიდი შემცირების მთა-...ვარი მიზეზია მასობრივი ბრაკო-...ნიერობა—მონადირეთა დიდი რა-...ოდენობის ზხრივ სანადირო კა-...ნონმდებლობის დარღვევა, რაც ...ურაცხელ ზარალს აყენებს სამო-...ნადირეო მეურნეობას.

...ძირითად მიზეზთა შორის უნ-...და აღინიშნოს აგრეთვე არასაკმაო ...ბრძოლა მავნე მტაცებელი ნადი-...რისა და ფრინველის წინააღმდეგ, ...რომლებიც აგრეთვე დიდ ზარალს ...აყენებენ სასარგებლო ფაუნას.

...ამასთან ერთად ნადირ-ფრინ-...ველის შემცირების მიზეზია მონა-...დირეთა რიცხვის დიდი ზრდა სა-...ნადირო ფაუნის მარაგის გაუთვა-...ლისწინებლად, რაც იწვევს მისი ...მარაგის ზედმეტ ექსპლოატაციას ...და მკვეთრ შემცირებას.

...აღნიშნულ ნაკლოვანებათა გა-...მოსწორების მიზნით, პარტიის ...ცენტრალურმა კომიტეტმა და მი-...ნისტრთა საბჭომ მიიღეს სპეცია-...ლური დადგენილება ამ საკითხზე.

...ფაუნის დაცვის ღონისძიებათა ...გაძლიერებით უნდა აიხსნას ის ...გარემოება, რომ საგრძნობლად ...იმატა სანადიროდ აკრძალული ნა-...დირ-ფრინველის რაოდენობამ. ...როგორც, მაგალითად, ხოხობმა ...(თელავის, ლაგოდეხის, წყალტუ-...ბოს რაიონებში), ბნოლმა (დმანი-...სის და კასპის რაიონებში), გარე-...ულმა ღორმა (ლაგოდეხის და ...სამგორის რაიონებში), კურდღე-...ლმა (სამგორისა და მარნეულის ...რაიონებში).

...აღსანიშნავია, რომ ბრაკონიე-...რობა ჯერ კიდევ დიდად არის გა-...ვრცელებული, რის წინააღმდეგ ...საჭიროა ბრძოლის რადიკალური ...ზომები, რომელშიაც უნდა ჩავა-...ბათ ფართო საზოგადოებრიობა.

...შემდეგ ღონისძიებად უნდა ჩა-...თვალოს სანადირო ფაუნის ზო-...გიერთი სახეობაზე ნადირობის აკ-...რძალვა, მოპოვების ნორმების და ...ნადირობის ვადების შემცირება, ...თითოეული მონადირისათვის მავ-...ნე მტაცებელი ნადირის განად-...გურების სავალდებულო წლიური ...მინიმუმის დაწესება.

...სამონადირეო მეურნეობის აღ-...დგენის ერთ-ერთ ძირითად ღო-...ნისძიებად ნადირ - ფრინველის ...კვლავწარმოება უნდა მივიჩნიოთ, ...რომელიც მხოლოდ ახლა იკი-...დებს ფეხს ჩვენში.

...საქართველოს სსრ მინისტრთა ...საბჭოს დადგენილებით გათვა-...ლისწინებულია რამდენიმე საჯა-...შე მეურნეობის მოწყობა ხოხო-...ბის, გნოლის და კურდღლის სავო-...ლიერო წესით გასამრავლებლად.

...ამ მიმართულებით პირველი ნა-...ბიჯები უკვე გადადგმულია. რეს-...პუბლიკაში შემოყვანილია გნო-...ლების პირველი პარტია.

...საგურამოს საჯაშე მეურნეო-...ბაში უკვე დაიწყო საცდელი მუ-...შაობა ხოხბების გამრავლებისათ-...ვის. დაიწყო დიდი სავოლიერო ...მეურნეობის შენებლობა საგა-...რეჯოს რაიონის „ყორუღის“ სა-...ჯაშე მეურნეობაში. მიმდინარე-...ობს კავკასიური ხოხბების დაჭე-...რა ამ მეურნეობისათვის.

...მომავალ წელს კოლხეთის ხო-...ხობის გაშოსაყვანად ასეთივე მე-...ურნეობა მოეწყობა დასავლეთ ...საქართველოში. აღმოსავლეთ და ...დასავლეთ საქართველოში ჩამო-...ყალიბდება თითო მეურნეობა ...კურდღლის მოსაშენებლად და ...ა. შ.

...რესპუბლიკაში შექმნილია აღ-...კვეთილების ფართო ქსელი, რო-...მელთა ტერიტორია 360 ათას ...ჰექტარს აღემატება.

...იქ, სადაც მათი დაცვა კარგად ...არის ორგანიზებული, მიღწეუ-...ლია დამაკმაყოფილებელი შედე-...გები (თელავის და წყალტუბოს ...რაიონები), მაგრამ აღკვეთილების ...უმრავლესი ნაწილი საკმარისად ...არ არის დაცული.

...საქართველოს სსრ მინისტრთა ...საბჭოს დადგენილებით მომავა-...ლი წლიდან აღკვეთილებში მო-...წყობა საეგერო სამსახური, რო-...გორც დასაცავად, ისე ბიოტექ-...ნიკური ღონისძიებების და მავნე ...მტაცებელ ნადირთან და ფრინ-...ველთან ბრძოლის საწარმოებ-...ლად.

...სამონადირეო მეურნეობის განვ-...ითარებისა და მისი სწორი ექს-...პლოატაციისათვის დიდი მნიშვ-...ნელობა ენიჭება იმ სამონადი-...რეო მეურნეობებს, რომლებიც მი-...წერილია მონადირეთა საზოგა-...დოებებზე და რომლებშიაც გათ-...ვალისწინებულია მთელი რიგი ...ღონისძიებები მათი შემდგომი ...განვითარების მიზნით. უნდა ითქ-...ვას, რომ ეს ღონისძიებები დღემ-...დე არ ხორციელდება და მიწე-...რილ მეურნეობებს მხოლოდ სა-...ექსპლოატაციოდ იყენებენ. სა-...ნადირო მეურნეობების მოწყო-...ბის საქმეში საჭიროა მაგალითი ...ავიღოთ რუსეთისა და უკრაინის ...რესპუბლიკებიდან და განსაკუთ-...რებით ჩეხოსლოვაკიის რესპუბ-...ლიკიდან, სადაც კარგ მონადირედ ...თვლიან არა იმას, ვინც კლავს, ...არამედ იმას, ვინც ხელს უწყობს ...სასარგებლო ნადირ-ფრინველის ...მომრავლებას.

...საქართველოს კომპარტიის ცე-...ნტრალურმა კომიტეტმა და მი-...ნისტრთა საბჭომ აღნიშნეს მო-...სახლეობასა და განსაკუთრებ-...ით მონადირეთა შორის არა-...საკმარისი აღმზრდელობითი მუ-...შაობა სასარგებლო ფაუნის და-...ცვისა და მისდამი მომჭირნე მოპ-...ყრობის საქმეში. ამასთან დაკავ-...შირებით მომდინარე წლის სექ-...ტემბერსა და ოქტომბერში რეს-...პუბლიკის რაიონებში, ადგილობ-...რივი ხელმძღვანელი ორგანოების ...უშუალო მონაწილეობით, მოეწ-...ყო მონადირეთა, სატყეო დაცვის ...მუშაკების, სოფლის საბჭოების ...და კოლმეურნეობათა თავმჯდომა-...რეების შეკრებები პროკურატურ-...ის, სასამართლოს, მილიციის ...მუშაკებთან, საწარმოებისა და და-...წესებულებების ხელმძღვანელებ-...თან ერთად. ხსენებულ შეკრებებ-...ზე შეიქმნა საზოგადოებრივი ეხ-...რი ბუნების დაცვის, სამონადი-...რეო მეურნეობის განვითარების, ...სანადირო ფაუნის აღწარმოების, ...გამრავლებისა და დაცვის სასარ-...გებლოდ.

...ბუნების დაცვისა და მის სიმ-...დიდრეთა რაციონალურად გამო-...ყენების საქმეში ცოტა მნიშვ-...ნელობა როდი აქვთ ჩვენი ქვეყ-...ნის წყლის რესურსებს.

...საქართველოს შინაგანი წყალსა-...ტევები, რომლებიც წარსულში ...განთქმული იყვნენ თევზის სიუხ-...ვით და რომლებსაც დიდი თევზ-...სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ, ...მეტად არადამაკმაყოფილებელ ...მდგომარეობაში იმყოფებიან.

...თევზის ჭერა შინაგან წყალსა-...ტევებში არა თუ მატულობს, არა-...მედ უკანასკნელი 12 წლის მონა-...ცემების მიხედვით მცირდება კი-...დეც.

...თევზის მრეწველობა არ იღებს ...ღონისძიებებს ტბებისა და მდინა-...რეების ახალი თევზპროდუქტიუ-...ლი ფართობების ასათვისებლად. ...თევზის მრეწველობას დღემდე ...არ აუთვისებია მდინარე მტკვარი ...ზაშურის რაიონის ზემოთ, მდინა-...რე ხრამი თეთრი წყაროს რაი-...ონიდან ხრამჰესამდე, მდინარე ...ალაზანი მთელ მანძილზე; არ წარ-...მოებს აგრეთვე შაორისა და ტყი-...ბულის ახლად შექმნილი წყალ-...საცავების ათვისება.

...შინაგან წყალსატევებში თევზის ...რესურსების მკვეთრი შემცირება, ...მათში თევზის მოპოვების რეგუ-...ლირების უქონლობასთან ერთად, ...გამოწვეულია აგრეთვე იმით, რომ ...საჭირო მასშტაბით არ ხორციელ-...დება თევზის მოშენების საკლიმ-...ატიზაციო და მელიორაციული ...ღონისძიებანი. თევზმოსაშენებე-...ლი ქარხნების მშენებლობას ტრე-...სტი „საქთევზმრეწვი“ მხოლოდ ...1958 წლიდან შეუდგა და ისიც ...მარტო თაფარავანის ტბაზე და ...თბილისის წყალსაცავზე.

...თევზსამეურნეო სამეცნიერო-...კვლევითი სადგურს მთელი რიგი ...წლების მანძილზე არ შეუსწავლია ...შინაგანი წყალსატევები, რო-...ლებსაც დიდი თევზსამეურნეო ...მნიშვნელობა აქვთ.

...შინაგან წყალსატევებში თევზის ...მარაგის მკვეთრად დაცემის ერთ-...ერთ სერიოზულ მიზეზს წარ-...მოადგენს თევზის მტაცებლური ...მოსპობა ბრაკონიერების მიერ, ...რომლებიც ფეთქებად და მომ-...წამვლელ ნივთიერებებს იყენებ-...ენ, აგრეთვე მიმართავენ თევზ-...ჭერის სხვა მავნე საშუალებებს.

...თევზჭერის წესების დარღვე-...ვის წინააღმდეგ ბრძოლის შესამ-...ჩნევი გაუმჯობესების მიუხედა-...ვად, ჯერ კიდევ დიდი მასშტაბით ...წარმოებს თევზის მტაცებლური ...ჭერა. ბრაკონიერობის ლიკვიდა-...ციაში აქტიური მონაწილეობა ...უნდა მიიღონ ყველა დაინტერეს-...ებულმა ორგანიზაციამ და ფარ-...თო საზოგადოებრიობამ.

...თევზის მარაგს და მის აღწარ-...მოებას დიდ ზიანს აყენებს თევზ-...სავალის უქონლობა ჰიდროელექ-...ტროსადგურებისა და სარწყავი ...სისტემების კაშხალებზე, თევზსა-...ცავ ნაგებობათა უქონლობა ...წყალმიმღებ არხებზე და წყალ-...სატევების გაბინძურება სამრე-...წველო საწარმოთა გაუწმენდავი ...ჩამდინარე წყლებით.

...თევზჭერის წესების დამრღვევ-...თაგან წყალსატევების უკეთ და-...ცვისა და წყალსატევებში ...თევზის მარაგის აღწარმოების ...უზრუნველყოფის მიზნით საჭი-...როა გადამწყვეტი ღონისძიების ...მიღება საექსპლოატაციო შინა-...გან წყალსატევებში თევზის მა-...რაგის დაცვის გასაძლიერებლად ...და მეთევზეობის მოსაწესრიგებ-...ლად, იმისადმი კონტროლის გან-...ხორციელება, რომ თევზის მრე-...წველობამ მიიღოს ღონისძიებანი, ...რ ო მ ლ ე ბ ი ც უზრუნველყოფენ ...თევზის მარაგის აღწარმოებას, ...თევზსამეურნეო მელიორაციის ...განხორციელებასა და სამრეწვე-...ლო საწარმოთა ჩამდინარე წყლე-...ბით თევზსამეურნეო წყალსატე-...ვების გაბინძურების ლიკვიდა-...ციას.

...საქართველოს სსრ სახალხო მე-...ურნეობის საბჭომ და საქართვე-...ლოს სსრ წყალთა მეურნეობის ...სამინისტრომ უნდა შეიმუშაონ ...1959-1960 წლებში საპროექტო ...დავალებანი და მოაწყონ თევზ-...სავალი ჰიდროტექნიკური ნაგე-...ბობათა კაშხალებზე და თევზ-...დაცვითი ნაგებობები სარწყავ ...სისტემებზე.

...საქართველოში ბევრია ცოც-...ხალი და მკვდარი ბუნების ძეგ-...ლები.

...წარსულში შედარებით დიდ ...ფართობებზე გაშენებული იყო ...პარკები წინნდალში, ზუგდიდში, ...გორდში, გორა-ბერეჟოულსა და ...სხვა ადგილებში, რომლებსაც ...ახასიათებს უცხოური ხის ჯიშე-...ბის მდიდარი კოლექციები და ...ნარგავთა საუცხოო კომპოზიციე-...ბი და რომლებიც შეტანილ უნდა ...იქნან ბუნების ძეგლთა დაცვის ...სისტემაში, როგორც საქართვე-...ლოს მემცენარეობის კულტურის ...იშვიათი ძვირფასი ძეგლები.

...ამჟამად ეს პარკები სხვადასხვა ...დაწესებულების გამგებლობაშია. ...ზოგიერთი მათგანი ცუდი მოვ-...ლის გამო ფუჭდება. საჭიროა აგ-...რეთვე აღინიშნოს, რომ ხელი-...სუფლების ადგილობრივი ორგა-...ნოები და კულტურის სამინისტ-...რო ჯეროვან ყურადღებას არ აქ-...ცევენ ამ პარკების შენახვისა და ...გამდიდრების საქმეს. მკვდარი ...ბუნების ძეგლებიდან, რომლებ-...საც ისტორიული და მეცნიერუ-...ლი მნიშვნელობა აქვთ, უნდა ...აღინიშნოს წყალტუბოს სტალაქ-...ტიტის გამოქვაბული, ქ. ქუთაი-...სის მახლობლად მდებარე გამო-...ქვაბული „სათაფლია“ სტალაქ-...ტიტებითა და სტალაგმიტებით ...მორთული უდიდესი დარბაზით.

...ყურადღების ღირსია აგრეთვე ...აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაი-...ონის სოფელ ოტაფში არსებუ-...ლი უდიდესი გამოქვაბული, რო-...მელიც ცნობილია „აბრასკილის“ ...სახელწოდებით, გამოქვაბული ...„დევის ხვრელი“ (ქუთაისის მახ-...ლობლად) — პირველყოფილი ...ადამიანის სადგომი, გაქვავებუ-...ლი ტყე გოდერძის უღელტეხილ-...თან, შავნაბადას ვულკანური ...მწვერვალები თბილისის მახლობ-...ლად, „ქოროღლი“ კოჯრის მახ-...ლობლად, „გორაძირი“ საჩხერის ...რაიონში და სხვა.

...მკვდარი ბუნების ძეგლები დე-...ტალურად უნდა იყოს შესწავლი-...ლი, კეთილმოწყობილი და დაცუ-...ლი. ზოგიერთი მათგანი კვლავ ...უნდა გამოცხადდეს ნაკრძალე-...ბად.

...ასეთია ჩვენი რესპუბლიკის ...ბუნებრივი რესურსების მდგომა-...რეობა და ის ღონისძიებანი, რომ-...ლებიც მიღებულ უნდა იქნას მა-...თი გაუმჯობესებისათვის.

...საქართველოს ბუნებრივი რე-...სურსების დაცვის მდგომარეო-...ბის გაუმჯობესების მიზნით საჭი-...როდ მიმაჩნია მივიღოთ კანონი ...ბუნების დაცვის შესახებ. კანო-...ნით უნდა აიკრძალოს ბუნებრივი ...რესურსების ისეთი გამოყენება, ...რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ...მათი გაფუჭება ან რადიკალურად ...შეცვლა. სახალხო მეურნეობის ...ამა თუ იმ დარგის განვითარების ...გეგმების შემუშავებისა და განხ-...ორციელების დროს გათვალისწი-...ნებულ უნდა იქნას სახალხო ...მეურნეობის სხვა დარგების ინ-...ტერესები, მოსახლეობის კულ-...ტურული და ესთეტიკური მოთ-...ხოვნილებანი.

...ავტონომიური რესპუბლიკების ...მინისტრთა საბჭოები, მშრომელ-...თა დეპუტატების საოლქო, რაი-...ონული და საქალაქო საბჭოების ...აღმასკომები, საქართველოს სსრ ...სახალხო მეურნეობის საბჭო, სა-...მინისტროები და უწყებები, ...პროფკავშირული, კომკავშირუ-...ლი, სამეურნეო, სამეცნიერო და ...საზოგადოებრივი ორგანიზაციე-...ბი, ყველა მშრომელი მოვალეები ...არიან უზრუნველყონ ბუნებრივ ...სიმდიდრეთა რაციონალურად გა-...მოყენება, მათი აღდგენისა და ...დაცვის ღონისძიებათა განხორ-...ციელება, გადაჭრით აღკვეთონ ...ყოველგვარი დაუდეგარი, უყაი-...რათო დამოკიდებულება ბუნების ...სიმდიდრეებისადმი, რომლებიც ...საყოველთაო სახალხო კუთვნი-...ლებას წარმოადგენენ.

...ჩვენი ბუნების სიმდიდრის რე-...სურსების დაცვა და მათი სწორი ...გამოყენება არის ერთ-ერთი სა-...წინდარი იმ დიდი ამოცანების ...განხორციელებისა, რომლებიც ...დასახულია საბჭოთა კავშირის სა-...ხალხო მეურნეობის შემდგომი ...განვითარების შვიდწლიანი გეგ-...მით.

...ამხანაგო დეპუტატებო! ეჭვს ...გარეშეა, რომ ბუნების დაცვის ...საკითხის უმაღლეს საბჭოს სე-...სიაზე განხილვის შედეგად მი-...ვაღწევთ ძირეულ გარდატეხას ამ ...ფრიად მნიშვნელოვან საქმეში და ...ბუნების მთელი რესურსების ...დაცვის, რეგულირებისა და მათი ...აღწარმოების საქმე გახდება საბ-...ჭოთა და საზოგადოებრივი ორგა-...ნიზაციების ერთ-ერთი საზრუნა-...ვი ობიექტი. რითაც დიდ წვლილს ...შევიტანთ ჩვენი მშვენიერი ბუნე-...ბის შენარჩუნების საქმეში. **(მქუ-...ხარე, ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა მთავრობის ნოტები ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთისადმი

ბერლინის საკითხზე

27 ნოემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ლ. ე. ტომპსონი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი ბერლინის საკითხზე. საბჭოთა მთავრობის ანალოგიური ნოტები გადაეცათ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ელჩებს სსრ კავშირში.

ამერიკის შეერთებული შტატებისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტის პირი გაეგზავნა ყველა იმ ქვეყნის მთავრობებს, რომლებთანაც სსრ კავშირს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სხვა ქვეყნების მთავრობებს.

სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. გ. პერვუხინი იმავე დღეს ეწვია ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ოტო გროტეოლს და გადასცა საბჭოთა მთავრობის ნოტა ამ საკითხზე.

სსრ კავშირის მთავრობის ნოტა ბერლინის საკითხზე გადაეცა აგრეთვე მოსკოვში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩს სსრ კავშირში.

სსრ კავშირის მთავრობამ თავის ნოტებში აცნობა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს, რომ საბჭოთა კავშირს ძალადაკარგულად მიაჩნია მოკავშირეთა შეთანხმებანი გერმანიის ოკუპაციის ზონების შესახებ და „დიდი ბერლინის“ მართვის შესახებ, ესე იგი შეთანხმებანი, რომელთა მოქმედებაც ნავარაუდევი იყო გერმანიის კაპიტულაციის შემდგომი პირველი წლებისათვის. საბჭოთა მთავრობა, ნათქვამია ამ ნოტებში, ვეღარ მიიჩნევს თავს შებოჭილად გერმანიის შესახებ მოკავშირეების შეთანხმებათა იმ ნაწილით, რომელმაც არათანასწორუფლებიანი ხასიათი მიიღო და გამოყენებულია იმისათვის, რომ საოკუპაციო რეჟიმი შეინარჩუნონ დასავლეთ ბერლინში და ჩაერთონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში.

დასავლეთის სამი სახელმწიფოსადმი — ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთისადმი მიმართულ ნოტებში საბჭოთა მთავრობა აყენებს წინადადებას, რომ დასავლეთი ბერლინი გადაიქცეონ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად — თავისუფალ ქალაქად. თავისუფალ ქალაქს დასავლეთ ბერლინს, ხაზს უსვამს საბჭოთა მთავრობა, შეეძლება იყოლიოს თავისი საკუთარი მთავრობა და თვითონ განაგოს თავისი ეკონომიკა, ადმინისტრაციული და სხვა საქმეები. ოთხ სახელმწიფოს, რომელნიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მონაწილეობდნენ ბერლინის ერთობლივ მართვაში, ისევე როგორც ორ გერმანულ სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას — შეეძლებათ იკისრონ ვალდებულება პატივი სცენ დასავლეთ ბერლინის, როგორც თავისუფალი ქალაქის, სტატუსს. საბჭოთა მთავრობა იმის წინააღმდეგი არ არის, რომ თავისუფალი ქალაქის დასავლეთ ბერლინის სტატუსის დაცვაში რაიმე ფორმით მონაწილეობა მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამაც.

როგორც აღნიშნულია სსრ კავშირის ნოტებში დასავლეთის სახელმწიფოებისადმი, თუ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები თანახმა იქნებიან ლიკვიდაცია უყონ ახლანდელ საოკუპაციო რეჟიმს დასავლეთ ბერლინში და შექმნან მის ტერიტორიაზე თავისუფალი ქალაქი, საბჭოთა მთავრობა მზად იქნება ოთხი სახელმწიფოს სახელით ოფიციალური კონტაქტი დაამყაროს ამ საკითხზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან, რომელთანაც საბჭოთა მთავრობას უკვე ჰქონდა წინასწარი კონსულტაცია. თუ ეს წინადადება, ხაზგასმით აღნიშნავს სსრ კავშირის მთავრობა, მისაღები არ არის დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობებისათვის, არ დარჩება არავითარი საგანი ყოფილი მაოკუპირებელი სახელმწიფოების მოლაპარაკებისათვის ბერლინის საკითხზე.

საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებს იმას, რომ მის მიერ დასახული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საოკუპაციო პირობების ლიკვიდაცია ბერლინში, განხორციელდება ნახევარი წლის შემდეგ, რათა დასავლეთის სახელმწიფოებს შეეძლოთ სათანადოდ მოემზადონ ბერლინის მდგომარეობის შეცვლისათვის. საბჭოთა მთავრობას განზრახული აქვს ამ ვადის მანძილზე არ შეიტანოს ცვლილებანი დასავლეთ ბერლინიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სამხედრო ტვირთბიდგის ამჟამად არსებულ წესში.

თუ დასახელებული ვადა, ნათქვამია ნოტებში, არ იქნება გამოყენებული შესაბამისი შეთანხმების მისაღწევად, საბჭოთა კავშირი დასახულ ღონისძიებებს განახორციელებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან შეთანხმების გზით. ამასთან მხედველობაშია მიღებული, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მთლიანად უნდა განაგებდეს იმ საკითხებს, რომლებიც ეხება მის სივრცეს, ე. ი. განახორციელოს თავისი სუვერენიტეტი ხმელეთზე, წყალსა და ჰაერში... ამავე დროს შეწყდება გერმანიაში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებისა და სხვა ოფიციალურ პირთა დღემდე არსებული ყველა კონტაქტი ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალების შესაბამის წარმომადგენლებსა და სხვა ოფიციალურ პირებთან იმ საკითხებზე, რომლებიც ბერლინს შეეხება.

ისეთი პრობლემის გადაჭრას, როგორიც არის ბერლინის პრობლემა, აცხადებს საბჭოთა მთავრობა, ყველაზე ნაკლებად შეეფერება შანტაჟის მეთოდები და ძალის უგუნური დამუქრება. მხოლოდ უგუნურებს შეუძლიათ დაიჯერონ იმ გზას, რომ ახალი მსოფლიო ომი ატეხონ, რათა პრივილეგიები შეუნარჩუნონ ოკუპანტებს დასავლეთ ბერლინში.

არც საბჭოთა კავშირს, არც რომელიმე სხვა სოციალისტურ სახელმწიფოს, ნათქვამია, კერძოდ, ნოტაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი, არ შეუძლიათ და არც აპირებენ უარყონ, რომ არსებობენ სწორედ როგორც სოციალისტური სახელმწიფოები. ისინი მტკიცედ იცავენ თავიანთ უფლებებს, თავიანთ სახელმწიფო საზღვრებს, მოქმედებენ რა თანახმად დევიზისა — ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის საზღვრების ყოველ დარღვევას, ყოველ აგრესიულ მოქმედებას ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ ყველა მისი მონაწილე მიიჩნევს ყველა მათგანზე თავდასხმის აქტად და ეს დაუყოვნებლივ გამოიწვევს შესაბამის სამასუხო მოქმედებას.

რა თქმა უნდა, შეიძლება აღმოჩნდნენ საბჭოთა კავშირის არაკეთილმოსურნენი, რომელნიც შეეცდებიან საბჭოთა კავშირის პოზიცია ბერლინის საოკუპაციო რეჟიმის საკითხში განმარტონ როგორც სსრ კავშირის მისწრაფება რაღაც ანექსიისადმი. სსრ კავშირი, ხაზგასმულია ნოტაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი, ისევე როგორც სხვა სოციალისტური სახელმწიფოები, არ ესწრაფვის რაიმე დაპყრობას, არამედ მხოლოდ ის სურს, რომ ბოლო მოეღოს იმ არანორმალურ და საშიშ მდგომარეობას, რომელიც ბერლინში შეიქმნა იმის გამო, რომ ამ ქალაქის დასავლეთი სექტორები კვლავ ოკუპირებული აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ დასავლეთი ბერლინი აღარ იყოს ტრამპლინი გაძლიერებული ჯაშუშური, დივერსიული და სხვა ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობამ, ნათქვამია ნოტაში, მიიღო გადაწყვეტილება, რომ თავის მხრივ განახორციელოს ღონისძიებანი ბერლინში საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაციისათვის, ხელმძღვანელობს რა მისწრაფებით მიაღწიოს ნორმალურ მდგომარეობას ბერლინში ევროპის მშვიდობის ინტერესებისათვის, გერმანიის მშვიდობისმოყვარული და დამოუკიდებელი განვითარების ინტერესებისათვის.

ნოტაში, რომელიც იმავე დღეს გაეგზავნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, საბჭოთა მთავრობა, კერძოდ, აყენებს წინადადებას მოეწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის, რათა დაწვრილებით განიხილონ იმ ღონისძიებათა საკითხები, რომლთა მიზანია საოკუპაციო პირობების ლიკვიდაცია ბერლინში. ხელმძღვანელობს რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტის უთუო პატივისცემის პრინციპებით, საბჭოთა მთავრობას მზედველობაში აქვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანოებს გადასცეს ყველა ფუნქცია, რომელთაც ჯერ კიდევ ანორციელებდნენ დროებით საბჭოთა ორგანოები მოკავშირეების შეთანხმებათა საფუძველზე და სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1955 წლის 20 სექტემბრის შეთანხმების მიხედვით. დასახულია აგრეთვე გაუქმდეს საბჭოთა სამხედრო კომენდატურა ბერლინში და გამოყვანილ იქნენ ქალაქიდან კომენდატურის განკარგულებაში მყოფი დამცველი ჯარები. ნოტაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი ხაზგასმულია, რომ საბჭოთა მთავრობა სავსებით ითვალისწინებს იმას, რომ დათანხმება იმაზე, რომ დასავლეთ ბერლინს, რომელიც მდებარეობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრში, მიენიჭოს დამოუკიდებელი ქალაქის სტატუსი, სერიოზული დათმობა იქნება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ გერმანიისა და ევროპის მშვიდობის განმტკი

ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე მ ი

საბჭოთა კავშირი და მთელი სოციალისტური განაკი თანაუგრძნობენ და მხარს უჭერენ აფრიკის ხალხებს

ქართველმა მსახიობებმა დაამთავრეს გასტროლები ვენაში

ადენაუერის და დე გოლის მოლაპარაკება დახურულ დარბაზში

მაო ძე-დუნისა და კიმ ირ სენის მოლაპარაკება

პეკინი, 26 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი უხანიდან გადმოგვცემს:

დღეს დღის მეორე ნახევარში უხანში გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მაო ძე-დუნისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის კიმ ირ სენის მოლაპარაკება.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების სესია

ბუდაპეშტი, 26 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების სესია, რომელიც არჩეულია 1958 წლის 16 ნოემბრის არჩევნებში.

ახალი შემადგენლობის სახელმწიფო კრებაშია 338 დეპუტატი, აქედან დაახლოებით 50 პროცენტს შეადგენენ მუშათა კლასის წარმომადგენლები და დაახლოებით 22 პროცენტს — გლეხობის წარმომადგენლები. სახელმწიფო კრების დეპუტატთა შორის 62 ქალია.

სესია გახსნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ იშტვან დობმ.

სესიაზე ანგარიში გააკეთა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ანდრაშ ვარგამ.

შემდეგ არჩეულ იქნა სამანდატო კომისია, რომელიც შეუდგა დეპუტატების რწმუნებათა შემოწმებას.

მოლაპარაკება ადენაუერსა და დე გოლს შორის

ბად-ქროიცნახი, 26 ნოემბერი. (საკდესი). დღეს დასავლეთ გერმახიაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ადენაუერთან მოლაპარაკებისათვის ჩამოვიდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი დე გოლი.

მოლაპარაკება დაიწყო დე გოლის ჩამოსვლისთანავე. მთავრობათა მეთაურებს გარდა, მოლაპარაკებაში მონაწილეობენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრი ბრენტანო, მეურნეობის მინისტრი ერხარდი, ფინანსთა მინისტრი ეტცელი; საფრანგეთის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრი კუვ დე მიურვილი, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი პინე.

ადენაუერის მოლაპარაკება დე გოლთან დახურულ დარბაზში მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა უკვე მოლაპარაკებისათვის მზადების პეროიდში ცნობილი იყო, რომ მთავრობათა მეთაურებს განზრახვა აქვთ განიხილონ საკითხები, რომლებიც უკანასკნელ ხანს სერიოზულ უთანხმოებას იწვევენ სამხედრო და ეკონომიური კავშირების მონაწილე დასავლეთის ქვეყნებში. ასეთ საკითხებს მიეკუთვნება უწინარეს ყოვლისა ევროპაწოდებული „თავისუფალი ვაჭრობის ზონის“ შექმნის პრობლემა. აღნიშნულია, რომ მოლაპარაკების დროს განხილული იქნება აგრეთვე სამხედრო ხასიათის საკითხები. დასახულია აგრეთვე ბერლინის საოკუპაციო სტატუსის საკითხის განხილვა.

თათბირი ჟენევაში

ჟენევა, 26 ნოემბერი. (საკდესი). დღეს კანადის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით გაიმართა უეცარი თათბირსხმის თავიდან აცილების ღონისძიებათა საკითხზე ჟენევის თათბირის მორიგი სხდომა. განცხადებანი გააკეთეს სსრ კავშირის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის წარმომადგენლებმა.

დამთავრდა ბალეტის ქართველ მსახიობთა გასტროლები ვენაში

ვენა, 26 ნოემბერი. (საკდესი). ვენაში დამთავრდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მოცეკვავეთა ჯგუფის გასტროლები. მსახიობები გამოვიდნენ ორი პროგრამით, რომლებიც შედგებოდა კლასიკური საბალეტო ხპექტაკლებისა და ქართული ეროვნული ცეკვის ცალკეული ხცენებისაგან. ნიჭიერი კოლექტივის ყველა გამოსვლამ, რომელსაც ხელმძღვანელობს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვახტანგ ჭაბუკიანი, დიდი წარმატებით ჩაიარა.

ბელგიის დეპუტატთა პალატაში

ბრიუსელი, 26 ნოემბერი. (საკდესი). ბელგიის დეპუტატთა პალატამ დაამთავრა კოალიციური მთავრობის საქმიანობის პროგრამის განხილვა, მთავრობისა, რომელსაც გ. ეისკენსი მეთაურობს. კამაში გამოსულმა სოციალისტმა უზიომ გააკრიტიკა მთავრობის პოლიტიკა კოლონიურ საკითხში. მან აღნიშნა დიდი უმუშევრობა ბელგიის კონგოს მოსახლეობაში. კონგოს დედაქალაქ ლეოპოლდვილში, თქვა მან, ყოველი მესამე კაცი უმუშევარია და ვერავითარ დახმარებას ვერ იღებს უმუშევრობის გამო.

სხდომაზე მოკლე სიტყვა წარმოთქვა ბელგიის პრემიერ-მინისტრმა გ. ეისკენსმა.

დასასრულ გაიმართა კენჭისყრა მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხზე. დეპუტატთა პალატამ 121 ხმით (კათოლიკეები და ლიბერალები) 85 ხმის წინააღმდეგ (სოციალისტები და კომუნისტები) (ორმა თავი შეიკავა) ნდობა გამოუცხადა ბელგიის მთავრობას.

მოკლე ცნობები

◎ **არგენტინის ქალაქ როსარიოს ხორცის დუქნების 1.200-ზე მეტმა პატრონმა გაფიცვა გამოაცხადა ხორცის საბითუმო ფასების გადიდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ხორცის დუქნების პატრონები მოითხოვენ ხორცის მტკიცე ფასების დაწესებას. გაფიცვის შედეგად ხორცის ვაჭრობა შეწყდა.**

◎ **როგორც მენის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, სუდანის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება კვარცხლბეკზე ჩამოხსნას ლორდ კიტჩენერისა და გენერალ გორდონის ქანდაკებანი. ეს ინგლისელი გენერლები მე-19 საუკუნის ბოლოს ახორციელებდნენ სუდანის დაპყრობას.**

◎ **ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ლორინგის ავიაბაზაში (მენის შტატი) დაიმსხვრა ამერიკის რეაქტიული თვითმფრინავი — ბენზინჩასასხმელი. 5 კაცი დაიღუპა.**



ჩვენი ადამიანების დაუღალავი მარჯვენა ალაპაზებს, ამშვენებს დროთა ვითარებაში გახრიოკებულსა და გადაბუნგულ ადგილებს...

ამ სურათზე თქვენ ხედავთ წითელწყაროს რაიონის ვაშლოვანის ნაკრძალს... მარადმწვანე ფიჭვები საამოდ შრიალებენ და სურნელს აყენებენ ჰაერში. ისინი ჯერ ნორჩები არიან, მაგრამ მალე აიფრიან ტანს და აიზიდებიან მზისკენ. ხშირ-ჩრდილიან ტევრებს მოედანი მტრედი და ჭედანი, კაკაბი და ფნილიც ბევრი იქნება აქ. ირემი წყლის დასალევად ჩავა ინკარა ლელესთან და ჟერაგზლისფერი თევზები თავქვე დაჩყვეტიან ტალღებს...

ჩემპიონები კლასიკურ ჭიდაობაში

ლვოვი. 27 ნოემბერი. (ტელეფონით). აქ ოთხ დღეს გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრება გამოირჩეოდა მასობრივობით, ახალგაზრდა სპორტსმენთა დაოსტატებით.

გუნდურ ასპარეზობას თავიდანვე ხოთავეში ჩაუდგნენ უკრაინელი მოჭიდავეები და გამარჯვებაც მათ ხვდათ. მეორე ადგილზე გამოვიდა ბელორუსიის გუნდი, მესამეზე — რსფსრ მოჭიდავეთა კოლექტივი. საქართველოს სპორტსმენებმა შედარებით სუსტად ჩაატარეს შეხვედრათა ბოლო წრეები და გუნდური საპრიზო ადგილები ვერ მოიპოვეს.

პირად ასპარეზობაში წონითი კატეგორიის მიხედვით სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს: **გ.** საიადოვმა (აზერბაიჯანი), **ო.** კარავაევმა (ბელორუსია), **ვ.** სტაშკევიჩმა, **ვ.** ვასინმა, **ვ.** გამარნიკმა (უკრაინა), **ა.** ზენინმა (რსფსრ), **ა.** ტკაჩოვმა (რსფსრ), **ი.** ბოგდანმა (უკრაინა).

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა შორის ყველაზე უკეთესი შედეგი მოიპოვეს მ. ღუდუშაურმა (მეორე ადგილი), ა. ქორიძემ და რ. აბაშიძემ (მესამე ადგილი).

ქალთა საჭადრაკო პირველობა

ხარკოვი, 27 ნოემბერი. (ტელეფონით). ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები შეეპოვარი ბრძოლით ხასიათდება.

ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი მეხუთე ტური აღმოჩნდა. დიდ ინტერესს იწვევდა პირველობის გათამაშების ლიდერების ნ. გაფრინდაშვილისა და ლ. ნასენბოიმის პარტიები უკრაინის უძლიერეს მოჭადრაკესთან ლ. იაკირთან და ა. კუშნერთან (მოსკოვი). ნ. გაფრინდაშვილმა შეხვედრა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა და მე-40 სვლაზე მეოთხე გამარჯვება მოიპოვა. ლ. ნასენბოიმმა თავი ვერ დააღწია მოწინააღმდეგის იერიშებს და პირველი დამარცხება განიცადა.

ო. რუბცოვამ ა. ჩაიკოვსკაიასთან პარტია თავის სასარგებლოდ დაამთავრა, ხოლო მ. ტოგონიძემ მეორე დამარცხება განიცადა, ამჯერად ვ. ბორისენკოსთან. ე. კაკაბაძისა და ტ. ფილანოვსკაიას პარტია ყაიმით დამთავრდა.

ე. ბიკოვამ მოუგო თ. სტრანდსტრემს, კ. ზვორიკინამ — ბ. გოიხენბერგს, ო. ივანტიევამ — ვ. ტიხომიროვას. ლ. მალენოვა და ლ. ვოლპერტი ყაიმზე შეთანხმდნენ.

დღეისათვის პირველობის გათამაშების ლიდერია ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მოჭადრაკე ნ. გაფრინდაშვილი, რომელსაც 5 შესაძლებლიდან 4,5 ქულა აქვს. ე. ბიკოვას 3,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ლ. ნასენბოიმს — 3,5 ქულა.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

დღის თეატრები

ოპერისა და ბალეტის — ჩიო-ჩიო-სან (მე-10 აბონ. I წარმ.), რუსთაველის სახელობის — ბეკა, მარჯანიშვილის სახელობის — მოკვეთილი, გრიბოედოვის სახელობის — ხეები ზეზეულად კვდებიან, ხომხური დრამის — ხათაბალა (აბონ. № 5), სანკულტურის — უკვდავნი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — სინდოსის ქისა (აბონ. № 2, 3 ს. აბონ. № 38, 7 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — ჩიპოლინოს თავგადასავალი (აბონ. № 81, 5 ს.) თოჯინების ქართული — ბრაზიანი მეზობლები (11 ს.), ყურაზ (2 ს.), თოჯინების რუსული — ქარიყლაპიის ბრძანებით (აბონ. № 33, 11 ს., აბონ. № 10, 1 ს.).

თბილისის სახელმწიფო ხამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ საშტატო თანამდებობებზე:

1. პედიატრიული და სანჰიგიენური ფაკულტეტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის პროფესორი — 1,0, დოცენტი — 1,0.
2. სამკურნალო ფაკულტეტის საფაკულტეტო ქირურგიის კათედრის დოცენტი — 1,0.
3. სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის დოცენტი — 1,0.
4. პედიატრიული და სანჰიგიენური ფაკულტეტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრის დოცენტი — 1,0.
5. რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის კათედრის დოცენტი — 1,0.

კონკურსს ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

საბუთები მიიღება ინსტიტუტის დირექციაში (მელიქიშვილის ქ. № 10).

დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა კავშირი

ცნობა



სახელმწიფოები განა და გვინეის რესპუბლიკა, რომლებმაც ამჟამად გადაწყვიტეს გაერთიანდნენ და დასავლეთ აფრიკის შეერთებული შტატების პირველი შექმნან, აფრიკის კონტინენტის დასავლეთ ნაწილში მდებარეობენ. მათ დაახლოებით 550 კილომეტრი მანძილი ყოფს.

1.

განა გვინეის ყურეს ნაპირზე მდებარეობს. ამ ქვეყნის ტერიტორია 237.8 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, ესე იგი დაახლოებით ოდრის დიდი ბრიტანეთის ტერიტორიას. მოსახლეობა 5 მილიონამდე კაცია.

აფრიკის რუკაზე განა გაჩნდა ორ წელიწადზე ნაკლები ხნის წინათ. როცა ინგლისის ყოფილი კოლონიის ოქროს ნაპირის ხალხებმა მიაღწიეს თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. მის შემადგენლობაში შევიდა ავრეთვე სამეურეო ტერიტორია ტოგო, რომელსაც ინგლისი მართავდა.

დამოუკიდებელი განის დაბადება აფრიკის ყველა ხალხის ისტორიული გამარჯვება იყო მათს ბრძოლაში უცხოელ დამმონებელთა წინააღმდეგ. განის მაგალითი დღეს აღაფრთოვანებს აფრიკის ყველა ხალხს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ მოუშორებიათ კოლონიური მონობის ბორკილი.

განსა და ალბჟოთა კავშირს შორის დამყარდა მეგობრული ურთიერთობა, რომელიც წარმატებით ვითარდება სრული თანასწორობისა და ურთიერთ პატივისცემის საფუძველზე.

დამოუკიდებლობის გზას რომ დაადგა, განა ცდილობს მიაღწიოს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას. ამ ქვეყანაში უხვად არის სასარგებლო წიაღისეული, კერძოდ მარგანეცი, ოქრო, ალმასები, ბოქსიტები. ბუნების პირობები ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. განას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს კაკაოს წარმოებითა და ექსპორტით. კოლონიზატორების წასვლის შემდეგ განის ხალხმა შესაძლებლობა მიიღო გამოიყენოს თავისი ბუნების სიმდიდრე დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ყოველმხრივ განმტკიცების მიზნით.

1958 წლის აპრილში განის დედაქალაქ აკრაში გაიმართა აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კონფერენცია, რომლის მონაწილეებმა მტკიცედ დაუჭირეს მხარი მშვიდობას და მოითხოვეს აფრიკის ყველა ხალხის განთავისუფლება კოლონიური მონობისაგან. კონფერენციამ მხარი დაუჭირა აფრიკის ხალხების ერთიანობასა და სოლიდარობას კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

2.

გვინეის რესპუბლიკა გამოცხადებულ იქნა მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს. ეროვნულ დამოუკიდებლობას მოწყურებულმა გვინეის ხალხმა გადაწყვიტა უარყო რეფერენდუმის დროს, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ მოაწყო, კონსტიტუციის ის პროექტი, რომლის თანახმად ამ ქვეყანაში ფაქტიურად კოლონიური რეჟიმი უნდა დარჩენილიყო.

დღეისათვის გვინეის რესპუბლიკა ცნო ბეერმა სახელმწიფომ, მათ შორის მთელმა რიგმა დიდმა სახელმწიფოებმა. მარტო საფრანგეთი დღემდე არიდებს თავს აფრიკის ახალი სახელმწიფოს ცნობას. უფრო მეტიც, საფრანგეთის მმართველი წრეები ყოველნაირ დაბრკოლებას უქმნიან ახალგაზრდა რესპუბლიკის დამოუკიდებელ განვითარებას.

გვინეის რესპუბლიკის ტერიტორია 246 ათასი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა — ორმილიონნახევარი კაცი. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი კონაკრი. ეს ქვეყანა ბანანების, პალმის ზეთის, ქოქოსის კაკლის, ყავისა და სხვა სახეობათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტიორია. გვინეის წიაღი უაღრესად მრავალფეროვანი სიმდიდრის — ბოქსიტების. რკინის მადნის, ოქროს, ალმასების და სხვ. უზარმაზარ საწყობს წარმოადგენს.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმა გვინეის რესპუბლიკის დაბადებას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის წერილში გვინეის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის სეკუ ტურესადმი ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა მთავრობამ. რომელიც მუდამ იცავს ხალხთა თვითგამორკვევის ეფლებას და პატივს სცემს გვინეელთა სამართლიან ეროვნულ მისწრაფებებს, საჯაროდ განაცხადა, რომ ცნობს გვინეის რესპუბლიკას როგორც დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს.

განისა და გვინეის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომ ამ ორი სახელმწიფოს შემადგენლობით შეიქმნას დასავლეთ აფრიკის შეერთებული შტატების ბირთვი, უეჭველად დიდი მნიშვნელობა ექნება აფრიკის ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შემდგომ განაღეგში. ამ სამართლიან ბრძოლაში ხალხთა ერთიანობის განმტკიცება აფრიკაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ გამარჯვებათა საწინდარია.

მხურვალედ ულოცავენ რა დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა დამოუკიდებელი კავშირის ხალხებს, საბჭოთა ადამიანები სულით და გულით უსურვებენ მათ აყვავებას და ახალ წარმატებებს დამოუკიდებლობის შემდგომი განმტკიცების საქმეში. აფრიკის ხალხებს შეუძლიათ დარწმუნებული იყონ, რომ მათს კეთილშობილურ განმათავისუფლებელ ბრძოლაში მათთვის, როგორც ყოველთვის, უზრუნველყოფილი იქნება საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის თანაგრძნობა და მხარდაჭერა.



ავსტრიელი მოგზაურები

ვენის ქუჩა ტიპიური ევროპული ქალაქის ქუჩაა: მრავალფეროვანი განათება, ათასგვარი რეკლამა და სხვადასხვა ფერისა და მარკის უამრავი მანქანა. ქალაქი წყიფბიც ასე ვთქვათ ევროპულია. ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთ მხცოვან წევრს, როდესაც ის ფილაქანზე მიდიოდა, მაუბარი ავტომანქანა დაეჯახა და ფეხი დაუზიანა. პოლიციამ სასწრაფოდ აქმა შეადგინა და ჩვენს თანამემამულეს მანქანის „დაზიანებისათვის“ 150 შილინგი ჯარიმა გადაახდევინა.

კონგრესის მსვლელობის დროს ხშირი იყო სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციათა ურთიერთ მიწვევა. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ საბჭოთა კავშირის დელეგაცია მიიწვია. შეხვედრამ მეტად საჭმიან და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. გამოითქვა საერთო და ძლიერი სურვილი გაძლიერდეს კავშირი ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ბიოქიმიკოსთა შორის და დაისახა მეცნიერული ურთიერთ დახმარების კონკრეტული გზები.

საბჭოთა დელეგაციამ საბჭოთა კავშირის საელჩოს შენობაში გამართა ბანკეტი რომელშიც რამდენიმე ასეული უცხოელი მეცნიერი ადგა მოწვეული. ბანკეტმა გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. ბანკეტზე შეხვედრისთანავე პროფესორმა რობერტსმა დოქტორი მ. ბოკუჩავა მოიკითხა. ძალიან ეწყინა, როდესაც შეიტყო, რომ ავადმყოფობის გამო მან კონგრესზე წამოსვლა ვერ მოახერხა. ინგლისელ რობერტსსა და ქართველ ბოკუჩავას კარგა ხანმა დიდი ნაცნობობა და საქმიანი მიწერ-მოწერა აქვთ, თუმცა ჯერჯერობით პირადად ერთმანეთი არც კი უნახავთ. გარდა საერთო მეცნიერული ინტერესისა (ორივე ჩაის ბიოქიმიის გამოჩენილი მკვლევარია), მათ კიდევ ერთი საერთო ინტერესი აღმოაჩნდათ: ერთმა ვენაში და მეორემ მოსკოვში ერთ-ერთ პირველ კითხვად ერთმანეთის შესახებ ერთი და იგივე მკითხეს — როგორი შესახედაობისაო.

ბანკეტმა ცოცხლად ჩაიარა და სტუმრებიცა და მასპინძლებიც მეტად კმაყოფილი დავრჩით.

კონგრესის მსვლელობის დროს შედგა ბიოქიმიკოსთა საერთაშორისო საზოგადოების პლენუმის ასამბლეა, რომელმაც განიხილა მთელი რიგი საკითხები, მათ შორის ბიოქიმიკოსთა შემდეგი საერთაშორისო კონგრესის ჩატარების საკითხი. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბიოქიმიკოსთა მეზუთე საერთაშორისო კონგრესი მოეწყოს ქალაქ მოსკოვში 1961 წელს. ეს გადაწყვეტილება საბჭოთა ბიოქიმიის ბრწყინვალე გამარჯვებაა და იგი ბევრ რამეს ავალებს ჩვენი ქვეყნის ბიოქიმიურ დაწესებულებებს და ამ დარგის მკვლევარებს.

კონგრესის დახურვისას უკანასკნელ პლენარულ სხდომაზე აზოტოვან ნივთიერებათა ცვლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა მეცნიერი, პროფესორი ბრაუნშტეინი. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

კონგრესის შედეგებმა ერთხელ კიდევ მკაფიოდ დაანახვა მის მონაწილეებს, თუ რა სწრაფად და მრავალმხრივად ვითარდება მეცნიერებაც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დარგი — ბიოქიმია, თუ რა უხვად აყენებს იგი ფიზიკისა და ქიმიის მიღწევებს და საკუთარი მიდგომით რათ-დენი წარმატებით სწავლობს კაცობრიობისათვის მეტად აქტუალურ მრავალ პრობლემას.

კონგრესის მეცნიერული პროგრამის ამოწურვის შემდეგ მოეწყო ექსკურსიები.

ცნობილია, რომ ავსტრია ლამაზი მთაგორიანი ქვეყანაა, ტყეებით, მდინარეებითა და ტბებით საკმაოდ მდიდარი. ავსტრიის მრავალ კუთხე ძლიერ ჰგავს საქართველოსას. გორაკებზე შეფენილი ვენახები და ხეხილის ბაღები. დაკეცილ ფალებში სიმინდი და სამეთარი, სოფლის „ბოლოში“ ცხენი და ძროხა საქართველოს სოფლის პეიზაჟებს მოგაგონებენ. ის მსგავსება ხშირად იმდენად ძლიერია, რომ არათუ ჩვენ, ჩვენი რუსი მეგობრებიც კი ავსტრიის რომელიმე პროვინციის ლამაზ პეიზაჟს საქართველოს ამა თუ იმ კუთხეს ადარებდნენ საუბარში ხშირად იხსენებოდა რიწა და ბაკურიანი, წყალური და შოვი, იმერეთი, სვანეთი და საქართველოს მრავალი სხვა კუთხე.

ვენიდან პირველად ბადენში ჩავედით. სხვა სანახაობათა შორის ვნახეთ ბადენის ცნობილი საცურავი აუზები და პლაჟი. სხვადასხვა აუზში სხვადასხვა ტემპერატურის ჩელოვნურად გამთბარი წყალია. მომსახურება მეტად ძვირია და ამიტომ აქ დასვენება მხოლოდ შეძლებულთა ხვედრია. ჩვენი გიდი ავსტრიელი ქალია. მე მას ვეუბნები. რომ ჩვენში არა მარტო ადამიანები. მიწაც თბილია და ამიტომ საქართველო ბუნებრივად თბილ წყლის აბანოებითაც მდიდარია-მეთქი.

გზად პატარა სოფელ სოლენაუში გავიარეთ; მოედანზე ხალხი შეკრებილიყო, სასულე ორკესტრი რაღაც ჰანგს ასრულებდა, სამხედრო ოკეანელი ზალპის მისაცემად ნიშანს ელოდა და ვიფიქე მოხელე სიტყვისათვის ემზადებოდა. ჩვენ განგვიმარტეს, სოფელი სოლენაუ თავისი დაარსების 800 წლისთავის ზეიმს იხდისო. მაშინვე ჩემმა თანამგზავრებმა: სხა-ბაასი თბილისის 1500 წლისთავის ერსებმოდგარ იუბილეზე გადაიტანეს. ავტობუსში, გარდა მძღოლისა და ჩვენისა, ყველა საბჭოთა მოქალაქე ვიყავით 40-მდე ქალსა და კაცში მხოლოდ ორი აღმოჩნდა ისეთი, რომლებსაც თბილისი არ ენახათ. ქართული სტუმართმოყვარეობა: იმდენი აქეს, რომ, რას ვიზამდი, ყველანი მოვიპატიჟე ჩვენს ამ ეროვნულ დღესასწაულზე.

საღამოს უკვე ქალაქ ფელდნეში ვიყავით, ღამე ვერტერის ტბის ნაპირას სასტუმროში გავათიეთ. სექტემბრის შუა რიცხვები იდგა, მაგრამ ტურისტები მაინც ბლომად იყვნენ. პროვინციის ეს პატარა ქალაქი დამთვალიერებლებს აევსოთ. აქ ყველა დაწესებულება — კაფე, რესტორანი, კაბარე, კაზინო თუ სხვა გასართობი და დროს გასატარებელი ადგილი — გაეხოველულ საქმიანობას მისცემოდა. აქაც შემოუხედავს ავტომატიკას. მანქანა ემსახურება ფინგახელებულ მოთამაშეებს კაზინოში, მანქანა ასრულებს კონცერტმაისტერის როლს საცეკვაო დარბაზებში. მუსიკალური ყუთი რომ ამუშავდეს და თქვენ უფლება გქონდეთ სპეციალური კლავიშის საშუალებით შეკვეთა მისცეთ მას, ამისათვის ამ ყუთში ერთი შილინგი უნდა ჩაუშვათ. ყუთში მოთავსებული ავტომატური ხელი მხოლოდ ამის შემდეგ მოსცემენის შეკვეთილ ფირფიტას, მოთავსებს საბრუნავ წრეზე და დაუტრავს. ამ „თანამედროვე ხელს“ კარგად ესმის კაპიტალის ბრუნვის კანონებიც: თუ ყუთში ზედიზედ ოთხ შილინგს ჩაუშვებთ, მაშინ იგი ოთხის ნაცვლად ხუთ ნაწარმოებს შეგისრულებთ.

ორი დღის შემდეგ ვერტერის ტბა დავტოვეთ და ავსტრიის ალპებისაკენ გავემართეთ. ორი ათას ხუთასი მეტრის სიმაღლეზე ავედით, თოვლიან გარემოში ვისადილეთ. ჩვენი სამშობლოს სადეგრძელო შევსვეთ და კვლავ განვაგრძეთ გზა.

ავსტრიაში შესანიშნავი გზებია. მოასფალტებულ განიერ გზატკეცილებს მსწორსა და ვაშლის ხეები დარაჯობენ. საათობით სავალი გზების ორივე მხარეს სიმინდის, ჭარხლის, კარტოფილის, შვრიისა და სხვა კულტურების ნათესებია. გზების მწვანე სამოსელში ლამაზად გაწყობილი სხვადასხვა ფერის ბენზინის წერტები ჩაჭედარა. ფერთა სხვადასხვაობა ამ შემთხვევაში მხატვრული გემოვნებით არ არის ნაკარნახევი. ავსტრიის გზებზე ბენზინს ყიდიან ამერიკული, ინგლისური და ავსტრიული კომპანიები. ბენზინის ფასს თუმცა აქ სახელმწიფო აწესებს, მაგრამ, როგორც გადმოგვცეს, ავსტრიის კაპიტალს მაინც ძალიან უჭირს სხვა ქვეყნების მდიდარ კომპანიებთან უთანასწორო შეჯიბრების გამო.

ერთი კვირის განმავლობაში ვმოგზაურობდით. ვიყავით ავსტრიის დიდსა და პატარა ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში. ბევრი რამ ვნახეთ და განვიცადეთ საინტერესო და მნიშვნელოვანი. ზალცბურგში მოცარტის სახლი მოვინახულეთ. გმუნდენში — შუბერტისა. ლინცში ვესტუმრეთ იმ სახლს, სადაც ბეთჰოვენი ცხოვრობდა. მარფლეიოს არა ერთ და ორ გამოჩენილ კომპოზიტორს აუდგამს ფეხი ავსტრიის მიწაზე. მათ ამ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და დაბებში უცხოვრიათ, მაგრამ მაღალი და ჭეშმარიტად სახალხო ხელოვნების სიყვარულსა და მისთვის თავდადებას ისინი სამუდამო სამყოფელითაც დაუახლოებია, ერთად შეუყრია. დგახარ ვენის ეროვნულ სასაფლაოზე და გიკვირს, ამ სულ რაღაც ქალოსოდენა მიწაზე როგორ დატეულან მოკაცრტი, ბეთჰოვენი, შუბერტი, შტრაუსი, ბრამსი და ხელოვნების მრავალი სხვა ტიტანი.

შვიდი დღის მოგზაურობის შემდეგ კვლავ ვენაში დავბრუნდით. ქალაქს ამჯერად ახალი საზრუნავი გასჩენოდა — საერთაშორისო ბაზრობა იყო გახსნილი. ბაზრობაში მსოფლიოს მრავალი ათეული ქვეყანა მონაწილეობდა. მთავარ შესასვლელთან სხვა ქვეყნების დროშებთან ერთად ლაღად ფრიალებდა საბჭოთა კავშირის წითელი დროშა. მრავალ პავილიონს შორის ამაყად იდგა საბჭოთა პავილიონის შესანიშნავი შენობა. მისი შპილი ყველა შენობას მაღლიდან დასცქეროდა და ამ მრავალფეროვნად ნაშენ ტერიტორიაზე თითქოს გზამკვლევს წარმოადგენდა.

ამ თვისებურ სანახაობაში მოხდენილად იყო შეზავებული ჩვეულებრივი გამოფენა და სავაჭროდ მოწყობილი ბაზრობა. აქ ყველაფერი იყო გამოტანილი, რასაც კი ადამიანის გონება და ხელი აკეთებს და რაც შეიძლება მზადდებოდეს. იხმარებოდეს და იყიდებოდეს. მოედნებზე და შენობებში ყველაფერი ამოქმედებულია, რაც კი შეიძლება მოქმედებდეს. პავილიონებში კერავენ, ქარგავენ. რეცხავენ, წმენდენ, ძერწავენ, ბეჭდავენ და ათას სხვა სამუშაოს ასრულებენ. მნახველებიც ხომ ერთ ამბავში არიან: სინჯავენ თვალით, სინჯავენ ხელით, აჭაშნაკებენ. ამოწმებენ, ადასებენ და აზარტულად ვაჭრობენ. ყველა ღონისძიება საქონლის გასაღებას ემსახურება. სახელმწიფოები, კომპანიები. ფირმები, ცალკეული პირები და ყველა ერთად მონაწილეობს საქონლის გასაღებაში. რეკლამა ხომ აქ თვითმიზნად არის გადაქცეული. ცდილობენ, რომ რეკლამა ადამიანის ხუთივე გრძნობაზე მოქმედებდეს, გთხოვენ მოუსმინოთ, შეხედოთ, შეეხოთ, იყნოსოთ, შესვათ და შეჭამოთ.

კონგრესის მონაწილენი განსაკუთრებით ხარბად დაეწაფნენ საბჭოთა პავილიონს. მისასვლელთანვე მსუბუქ ავტომანქანა „ჩაიკას“ ირგვლივ უამრავი ხალხი იდგა. მანქანაზე მუყაოს ფირფიტა იდო წარწერით „გაყიდულია“. პავილიონი მოხდენილად და არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებით ასახავდა გმირი საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომით მოპოვებულ უმაგალითო წარმატებებს. დიდძალი ხალხი ეხვეოდა დედამიწის თანამგზავრთა მაკეტებს. იქ მდგომ პავილიონის მუშაკს კითხვებს ყოველი მხრიდან სიტყვასავით აყრიდნენ და ისიც პასუხს სხაპასხეპით იძლეოდა, დაინტერესებულ ადამიანებს ინფორმაციას აძლევდა ატომურ ელექტროსადგურებზე, ატომურ ყინულმტეხავებზე, ატომურ ელექტროენერგიის ფასზე, ატომურ ენერგიის ადგილობრივ ენერგეტიკულ ბაზაზე, ატომურ ენერგიის ადგილობრივ ენერგეტიკულ ბაზაზე, ატომურ ენერგიის ადგილობრივ ენერგეტიკულ ბაზაზე, ატომურ ენერგიის ადგილობრივ ენერგეტიკულ ბაზაზე, ატომურ ენერგიის ადგილობრივ ენერგეტიკულ ბაზაზე, ატომურ ენერგიის ადგილობრივ ენერგეტიკულ ბაზაზე, ატომურ ენერგიის ადგილობრივ ენერგეტიკულ ბაზაზე, ატომურ ენერგიის